ბ-40

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ IV

1234.
/321

აპრილი, 1907

ფელიფადი მეთვრამეტე

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ფერადი სურათი 2
II პატარა ამბავი—წყალი. ფრანგულიდან 3
III შაშვები 5
IV მთვარის მოგზაურობა (გერმანულიდან) ს. ეუმის-თაველისა 6
V მეთევზენი, ლექსი შ. მდვიმელისა 8
VI შაქრომ გაგვცა, ამბავი ანას. წერეთლისა 11
VII კატის დღიური (დასასრული) ეკ. მ—სა 16
VIII საბრალო ღამურა (რუსულიდან) ბოგდანოვისა, ან. წ. 27
IX სახუმარო გასართობი 33
X მიხვდება და მაპატიებს, ეკ. გაბაშვილისა 35
XI ბედნიერი ქვეყანა, ივანე გომართელისა 43
XII ვინ უფრო მართალია, ფრ. 54
XIII უგულო ბავში, მოთხრ. მონგომერისა (გ. გრძელება), თარგ. ელ. წერეთელისა 57
XIV როგორ ზრდიან ფრინველები თავის ბარტყებს (თარგმანი) ს. ფ—ვასი 62
XV მსოფლიო ისტორია ერ. ლავისისა. ახალი დროება, ფრანგულიდან ალ. სარაჯიშვილისა 65
XVI განცხადებები 71

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ამბები.



წყალი.

ფრანგულის დედნის თარგმანი

კარგი წყალი ვარ, კარგი ხამი წყალი. რა უნდა ჭქმნან უჩემოდ?

დილითგანვე ეველას ვემსახურები; ჩემის წყალობით ხელებს სითეთრე და ლოყებს სიწითლე არ მოაკლდებათ.

შეხედეთ, წყალი დღეს ცეცხლზე, დედა სადილს ამზადებს.

საღამოსაც დღეს კიდევ წყალი, რომ ვახშამი მოამზადოს.

მე ვრეცხ იატაკსა და ვაბრჭყვიალებ სარკმლის მინებსა, მევე ვრწყავ ქუჩებსა. საცვალს ვიღა რეცხს, თუ არ მე?

ბინა მაქვს სულ მაღლა ღრუბლებში, და ხშირად დავეშვები დედამიწაზე, მცენარეულობა გავანედლო.

ტყეს ჩაუდივარ ნაკადულად, ჩაუვლი ...
და ჩანჩქერად გადმოვჩხრიალებ.

ვისაც არ უყვარვარ, საცოდავია; ნუ თუ რამე ჭსჯობს ერთ ჭიქა ხამ წყალსა, წყურვილის დროს?

მეტად მიყვარს ცხოველები. კარგად იცნობენ გულკეთილ წყალსა და ვერც გასძლებენ უიმისოდ?

ბატარა ბალღებიც მიყვარს. მე ვაძლევ მათ სინედლეს და ჯანმრთელობასა.

რა კარგია კარგად დაბანილი ბავში!

ყველასი საყვარელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაფვები

რთმა სოფლელმა თავისი ჩასაცმელი დერეფანში ჩამოჭკიდა და რამდენსამე დღეს ხელი არ უხლია. როდესაც მოინდომა ამ კაცმა მისი ჩაცმა ძალიან გაუკვირდა, რომ სახელო რაღაცეებით გამოტენილია. ჩასაცმელი დაიქნია და იქიდან გამოვარდა ჩიტის ბუდე.

თურმე შაშვებს ჩასაცმელის სახელოში ბუდე გაეკეთებინათ.

ამ დროს მოვიდენ ბუდის ჰატრონები. ამათ რომ დაინახეს თავიანთი განადგურებული ბინა მწუხარების გამოსათქმელათ მოჭუვენ ჩხავილს და დიდხანს სოფლელს თავზე დასტრიალებდენ, თითქოს უჩოიდენ მას ბოროტობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარის მოგზაურობა.

სურათი მეექვსე.

ანდერსენისა.

ბური დამიგდეთ, აბა რა მიამბო მთვარემ! მე მინახავს სამხედრო სასწავლებლის მოწაფე, რომელმაც სწავლის დამთავრების შემდეგ აფ ცრობა მიიღო და, ის იყო, პირველად გამოეწყო თავის ბრწყინვალე ტანთსაცმელში. მე მინახავს ახალგაზდა საქორწილოდ გამზადებული ქალი თავის საგვირგვინო ტანთსაცმელში გამოწყობილი; მე მინახავს თავადის საპატარძლო, რომელიც თავის მკირფასს მოსასხამში ბედნიერად სთვლიდა თავის თავს.

მაგრამ მე არასოდეს არ შემიმჩნევია იმის მგზავსი ნეტარება, რომელსაც განიცდიდა პატარა ოთხი წლის გოგონა. მე ამ საღამოთი ცის სივრციდან უთვალთვალებდი იმას.

პატარა გოგონამ საჩუქრათ მიიღო დედისაგან ცისფერი კაბა და ვარდისფერი ქუდი. გოგონას ჩაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვეს ახალი კაბა და თავზედ დაახურეს მოხდენილი ქუდი. ყველანი სანთელს თხოულობდენ, რადგან მთვარის შუქი, რომელიც ფანჯრებს ტკბილად ეალერსებოდა, საკმარისად ვერ ანათებდა ოთახს. სულ სხვა გვარი სინათლე იყო საჭირო ოთახში. ჰატარა გოგონა, თითქო დედოფალაო, უძრავად იდგა ოთახში, ხელები მოკრძალებით კაბის კალთებზე ჩამოეწყო, ხელის ჰაწაწინა თითები ერთი მეორესაგან ძალზე დაეშორებინა.

ღმერთო! რამდენი ნეტარება და სიხარული იხატებოდა გოგონას თვალებში და მთელს მის ჰირის სახეზე!

— ხვალ, ჩემო კარგო, ეს ახალი კაბა უნდა ჩაიცვა და ისე იცქრიალო ჩვენს კარმიდამოში! სიყვარულის კილოთი უთხრა დედამ თავის ჰატარა გოგონას. ჰატარამ ლმობიერის სიცილით ერთი კიდევ გადახედა თავის ახლად შეკერილს კაბას და უნებლიეთ ერთბაშათ წამოიძახა:

— დედიკო! აბა, რა უნდა იფიქროს ჩვენმა ჰატარა ცუგამ, როცა მე ამ ახალ კაბაში დამინახავს?

ა. ყუმისთაველი

(გერმანულიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეთევზენი.

(რუსულიდან).

ექსკავები გადაუშვეს
მდინარის პირს მღვრიე წყალში
და ფაფხურით ერთმანეთსა
გაუყარეს თვალი თვალში.
უცბად ანკესს თევზი მოხვდა,
სიხარულმა ფრთა გაშალა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შეხეთ გულხარბობას,
დატრიალდა მუშტის ძალა!
ჩემიაო,—ერთი ამბობს,
ამაყობს და კიდეც სჯერა;
ცხვირ-დიდაზე მოკუნტული
უფრო მეტად გაიბერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ძმაო, ჩემი არი,—
უბრიალებს თანაც თვალებს
და ვერ ხედავს რომ მის ქუდი
ცის სივრცეში მიფრიალებს.
და მის ქუდთან ერთად მიაქვს
თევზიც თევზი-ჭამიასა;*)
ნეტავ რათლა მოსდიოდათ
ჩხუბი ამ ორ ძამიასა?!

გულ-დამწვარნი მეგობრულად
ისევ დასხდნენ წელისა ჰირსა,
ნემს-კავები მოიმართეს,
ხელი უშვეს მველსა ჭირსა.

შ. მღვიმელი

*) ფრინველია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაქრომ გაგვცა.

ვილო შაქრო, ჩამოეცალე მაგ თოფს, ხეირს არ დაგაყრის, უბედურება არა მოხდეს-რა, მაგ სოსოს ხომ ვერა გავაგონე-რა, შეჰყვირა შეწუხებულმა სალო-მეამ და მიეარდა შვილს რომ აქეთ წამიყვანა.

შაქროს თავისი კვირცხლი შავი თვალები ვერ მოეშორები-ნა ბრჭყვიალა თოფისთვის. სო-სო ეს მესამე თოფს სწმენდდა, ასუფთავებდა და იყო ერთ სამ-ზადისში, შაქრომ რამდენჯერმე ჰკითხა თავისს უფ-როსს ძმას: რად გინდა რომ სწმენდამ, სად მიდისარ, მეც წამიყვანე, ვის უნდა ესროლო, მაგრამ სოსო დაფიქრებული, ნაღვლიანი, ძმის ტიტინს არ უგდებ-და ყურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსომ ბოლოს შეინახა თავისი თოფები და გავიდა კარში. დედამ ნაღვლიანათ გაადევნა თვალი და წაიბუტბუტა: ვაი ჩემო შვილო, ჩემო ამაგო.

შაქრო ჯერ სულ პატარა იყო, ექვსი წლისა იქნებოდა. ცოცხალ მოძრავს ბავშს არაფერი არ გამოეპარებოდა. ხედავდა რომ მისი უფროსი ძმა სოსო მუდამ სახლში არ იყო, სადღაც დადიოდა და დედა ამის გამო ძალიან სწუხდა.

—

შაქრო ისეთი მცირე წლოვანი იყო, რომ ოჯახში საქმეშაოთ არ გამოდგებოდა და სულ აქეთ-იქით დარბოდა, ეშმაკობდა, ერთხელ იმან იპოვა მინდორში ქოფაკი ძაღლის ლეკვი. გულში ჩაიკრა და სახლში მოარბენინა, მაგრამ დედამ თვალი მოჭკრა თუ არა, დაუტატანა შვილს: წაიყვა, წაიყვა ახლავე, აქ არ მოიყვანო, ერთი ეგღა მაკლია მჭამელიო.

შაქრო ცივათ გაბრუნდა, მაგრამ გულში გადასწყვიტა: ცოდვაა, როგორ გადავაგდო, ხომ მოკვდება. მე ჩემ კერძს უწილადებ ხოლმე და ისეთ ადგილას დავმალავ, რომ დედამ არ ნახოსო.

მართლაც შაქრო თუმცა უკანვე წაცუნცულდა, მაგრამ როდესაც დედა სადილ შემდეგ მიეცა ტკბილ ძილს, შაქრომ ჰერანგ ქვეშ ამოფარებული ლეკვი ისევ მოიყვანა და ქოხს უკან, სადორეს გვერდით ჩამალა, ერთი ორჯელ გადაკოცნა ლეკვს და სახელათ დაარქვა „ბარდანა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცით რათ დაარქვა შაქრომ ეს სახელი? მეზობლის ბიჭს სერგოს სწორეთ ამისთანა ლეკვი ჰყვანდა „ბარდანა“ ბურთივით რგვალი, ეურთუკივით რბილი და როცა წავიდა ქალაქში ლეკვი თან წაიყვანა.

შაქრომ მაშინ ბევრი იტირა.

ამ დღიდან შაქრო ხშირათ ჩუმჩუმათ გარბოდა სახლს უკან და რასაც ჩაიგდებდა საჭმელს უზიდავდა თავის საყვარელ „ბარდანას“.

მხოლოთ ერთი რამე აწუხებდა ემაწვილს, ვაი თუ ჰატრონი გამოჩნდეს და წამართვასო. ხშირად თვალებს ავაცილებდა, ხომ არავინ კითხულობს ლეკვსაო.

—

შუა ზაფხულია, კვლავ ქართლში ამ დროს გაჩქარებული მუშაობა ეოფილა ხოლმე, წრეულს ყველა უსალისოთ ადგა საქმეს. მეტადრე სალომეს საქმე არ ემარჯვებოდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. მისი მარჯვენა ხელი სოსო თითქმის აღარსად სჩანდა, ერთ წამს შემოვარდებოდა სახლში, ლუკმას შესჭამდა და ისევ გავარდებოდა.

მეზობლები ნუგეშს სცემდენ და ხშირად ამბობდენ: „ნუ გეშინიან, მოვესწრებით კაი დღეებსო“.

ერთხელ, ბინდისას, სალომესთან შემოვიდა მოხუცი მეზობელი ნინიკა და უთხრა: შე დალოცვილო, გადამალე თოფები სახლში თუ გაქვს, მთავრობის ბრძანებით სტრაჟნიკები დადიან და ოჯახებს ჩხრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ. სადაც იპოვიან თოფებს, იმ ოჯახს გადასწვამენ.

სალომე გაფიორდა, აკანკალდა და შეეხვეწა ნინიკას—ძიშველე, სადმე ჩაფფლა სოსოს ორი თოფიო, თვითონ წასულია სადღაც ეს სამი კვირაა და ვინ იცის სახლში დაბრუნდება თუ არაო!

სოსოს დამ, ნუშომ, რომ გაიგონა ეს უკანასკნელი სიტყვები მოჰყვა ტირილს. ამ ტირილზე გამოელვიძა ახლად ჩაძინებულ შაქროს. იმან ნახა, რომ სალომე და ნინიკა ბარ-ნიჩბებით და თოფებით მიეშურებიან საღორესაკენ, საცა ლეკვი ჰყვანდა დამალული. თითონაც ატირდა და გამოუდგა იმათ. მაგრამ რა-კი დაინახა, რომ ნინიკა და დედა თოფებს მალავენ მიწაში სული გაკმინდა, დადგა შორიახლოს, სელები უკან დაიწეო და შესტქეროდა—ამას რას ჩადიანო. ნინიკამ ერთსელ-ორჯელ შაქროს ეჭვის თვალით გადახედა, ეს რა არაბკითხე მოწამე გვეავსო და მერე აღარ მიაქცია ყურადღება. გაათავეს თუ არა ამათ თავიანთი საქმე თავთავიანთ ბინაზე წავიდენ.

ამას შემდეგ გავიდა ერთი-ორი კვირა,—აღარც სოსოს რაიმე ამბავი მოვიდა და სოფელშიაც თითქოს მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

—

ერთხელ შუადამისას სალომეს ოჯახს მოადგა ექვსიოდე კაცი, მის კარ-მიდამოს ალყა შემოარტყა და თოფები მოსთხოვა. გაალმასებული სალომე წამოვარდა და სტრაჟნიკებს მიეარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თოფი, სად არი თოფი! რა გინდათ ჩემგან?!

ამ სმაურობაზე ოჯახმა გაიღვიძა, ატუდა ერთი აურ-ზაური, ტირილი. სალომე გამწარებული ხელებს შლიდა, წყევლა-კრულვით არავის უშვებდა სახლში კაზაკები მოთმინებიდან გამოვიდენ და დაიწყეს ყვირილი: „ბერდანა დავაი, ბერდანა!“ და იწყვდენ სახლში. ერთმა კაზაკმა შიგ კარის კუნჭულში რაღაც დაინახა და დაიყვირა: „ვოტ ჰატრონ!“.

შაქრომ ერთბაშათ ტირილი შესწყიტა და სლოკინით უთხრა:—მოდით, მოგცემთ, რაკქნა! და გასწია სალორესაკენ. სტრაენიკები გამოეკიდენ უკან ბავშს.

სალომეს ერთბაშათ მუხლები მოეკეცა და დაეცა. ნინიკა, რომელიც სმაურობაზე შემოსულიყო ეზოში განცვიფრდა და სასო-წარკვეთილებით დაიძახა: შაქრომ გაგვცა?

რამდენიმე წამის შემდეგ მოისმა კაზაკების ხალ-ხარხარი, იმათ ხელში ეჭირათ შაქროს ლეკვი „ბარდანა“. შაქრო ნაღვლიანათ უკან მოსდევდა სრული დარწმუნებული, რომ ჰატრონი გამოსჩენია „ბარდანას“ და მას მოსაძებნათ გამოუგზავნია ამოდენა კაზაკები.

კაზაკებმა ბევრი ლაზღანდარობის შემდეგ ლეკვი ისევ უმაწვილს მიუგდეს და წავიდენ.

მხოლოთ მაშინ სული მოიბრუნა სალომემ და შაქრო გულში ჩაიკრა

ანას. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კატის დღიური.

(დასასრული)

ეჰ, რა მხიარულათა ვარ! რაც მინდა და მომწონს იმას ვაკეთებ. უწინ სასტუმრო ოთახიდან მაგდებდნენ, ეხლა-კი სულ აქა ვარ, მთელი დღე ერთ სკამიდამ მეორეზე ვხტები. მთელი დღე ვთამაშობ, ეველა მეალერსება და მაქებს. გუშინ დეიდამ თავის სათვალეების უბეს ზონარი მოაბა, ანიკოს მისცა, რომ ოთახის გარშემო ერბინა და მე უნდა დავწეოდი. ერთხელ უსეიროთ ავხტი და მაგიდას, რომელზედაც ლამაზი საფერფლე იდგა, დავეტაკე, მაგიდა დაინძრა, საფერფლე გადმოვარდა და ნაკუწ-ნაკუწათ დაიმსხვრა.

მე ძალიან შემეშინდა და ვიფიქრე, რომ ეხლა-კი გათავდა ჩემი ბედნიერება, უთუოდ ისევ სამზარეულოში გამაგდებენ მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, დიასახლისმა მოსამსახურეს დაუძახა, რომ საფერფლეს ნამტვრევები აეკრიფნა და თქვა: „ეს არაფერია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ხშირად შემხვდება ხოლმე გემრიელი საჭმელი! ქონს სრულებით არა ვჭამ, ცივ კარტოფილს ზედაც არ ვუყურებ, აი გუშინ დიასახლისმა თევზი მომართვა თავისი თეფშით, მე კანს დავსუნე და იქით გადავაგდე... „საწყალი ციცუნია“ თქვა დეიდამ,— უთუოდ არ უყვარს ეს კანი და ერთი მშვენიერი ლორის ნაჭერი მითავაზა.

თაგვს-კი ახლა მაშინ შევჭამ, თუ ვინმე დამიჭერს და მომართმევს, თორემ ვისა აქვს თავი, რომ უდარაჯოს როდის გამოვა სოროდამ. მურიასაც ვეღარა ვხედავ. იმას ოთახში აღარ უშვებენ იმიტომ, რომ დეიდასაც, როგორც მე, ძაღლები არა ჰყვარებია.

* * *

გუშინ ღია ფანჯარასთან ვიჯექი, უცბათ ნაცნობი ხმა მომესმა, გამოვიხედე—მურია იყო.

— აი შე ზარმაცო შენა, დაიყეფა მურიამ, — სამზარეულო თაგვებით სავსეა და შენ-კი არ იჭერ. შენ შენი საქმე და მოვალეობა დაგავიწყდა?

— „შენ თვითონ დაიჭირე, მე რას მეუბნები, ვუთხარი მე.

— დიასაც დავიჭერდი, რომ ვიცოდე, მიპასუხა მურიამ. თვალები მტკივა, რომ ვუყურებ, როგორ უსამართლოთ სჭამენ და აფუჭებენ ბატონის სარჩოს.

— არა, ბატონო, მურიავ, ვუთხარი მე,— თაგვებს ისინი იჭერენ, ვისაც საჭმელი არა აქვთ რა, მე-კი მას აქეთია, რაც დიასახლისის დეიდა ჩამობრძანდა—მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა ადარა მჭირია,—კარგი და გემრიელი ნაჭამელი ეოველთვინა მაქვს. რომ იცოდეთ, რა-კარგ ცხოვრებაში ვარ! მარტო ის ჩიტები მაწუხებენ, ხშირათ, როცა ოთახში შევდივარ, დეიდა ეურადღებას არ მაქცევს, რადგან მათ მოვლას უნდება. რის მაქნისი არიან ეგ ჩიტები? მიკვირს სწორეთ?

ახლა ბავშებიც ადარ მაწუხებენ. როგორც-კი რომელიმე იმათგანი დამიჭერს —მე ჩემ კლანჭებს ჩავასობ ხოლმე და ისინიც ეკვირილით მაშინათვე ხელიდან გამაგდებენ, დეიდაც იმათ უჯავრდება: „ნუ აწუხებთ, მაგ საცოდავსო!“ ჩიტებთან კი ახლოს არ მაკარებენ, იმათ შეხედვის ნებასაც-კი არ მაძლევენ.

* * *

ვაი ჩემო თავო, რაკარგ ცხოვრებაში ვიუავი და უცბათ ეკელაფერი შეიცვალა.

დიდი ხანია დეიდას ჩიტები მოსვენებას არ მაძლევდნენ, თვალს არ ვაშორებდი. მაგრამ ახლო მისვლას ვერ ვახერხებდი.

გუშინ სასტუმრო ოთახში შევედი, ვხედავ არავინ არის. შევხტი სკამზე, იქიდამ მაგიდაზე, საცა გალია იდგა; როგორც-კი მიუახლოვდი საშინელი წრიპინი შეჭქმნეს:

„ეს რა საშინელი პირუტყვია! უთუოდ გარეული მხეცი იქნება, რა ვქნათ? ერთმანეთს მივეკრათ, თუ სიკვდილია—ერთათ მოვკვდეთ. აქ მაინც ვერ შემჯიმერება ეგ საშიში ცხოველიო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ისეც გაჯავრებული ვიყავი იმათზე და ახლა ჰირში ჩემ ლანძღვას ბედამდნენ. არა, ვეღარ მოვითმენ, უნდა თავიდან მოგიშოროთ.

გალიის კარები ბრჭყალებით გავაღე, შიგ თავი შევყავი და ერთი ჩიტი დავიჭირე, მაგიდიდან გადმოვხტი, დავუწყე გაბტყვნა.

მაგრამ იმდროს მეორე ჩიტმა ისე დაიწრიპინა, რომ დეიდა და დიასახლისი ორივენი შემოცვივდნენ, როგორც დამინახეს, დამიწყეს ლანძღვა: აი შე საძაგელო, ავო კატავ. მინდოდა შემმვრალვიყავ ტახტის ქვეშ, მაგრამ დიასახლისმა ცეცხლის სახრეკი აიღო ხელში და გამომაგდო იქიდან.

ბევრი ვირბინე ერთი კუთხიდან მეორეში. დეიდა ყვიროდა:

,,დაიჭირეთ, დაიჭირეთ ეგ საძაგელი!

ბოლოს როგორც იყო მაინც დამიჭირეს, დიასახლისმა კისერში ხელი მომკიდა და იატაკზე დამანარცხა, მეც კლანჭები ჩავუჭირე რაც შემეძლო ღრმათ.

— უნდა მოჭკლათ ეგ საძაგელი, ყვიროდა დეიდა, ეხლავე მოჭკალით! მაგას თვალით ვეღარ დავინახავ, თუ არ მოჭკლამთ ეხლავე წავალ სახლიდან.

დეიდას საქციელმა ძალიან გამაკვირვა. იმას სრულებით დააავიწყდა, როგორ ვართობდი და ვაცინებდი ხოლმე,

— ნუ სწუხარ, ეხლავე ვუბრძანებ წყალში გადააგდონ და დაახრჩონ, თქვა დიასახლისმა. მერე ფანჯრიდან მებალის შვილს დაუძახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი, წაიყვანე ეს სამაგელი კატა და წყალში გადააგდე. ერთ აბაზს გაჩუქებ თუ სამუდამოთ თავიდამ მოშაშორებ მაგას.

და ფანჯრიდან მიმცა ჰატარა ბიჭს.

ამ დროს მურია ეზოში იდგა.

— ეგრე, ეგრე გინდა ქალბატონო, დამეეფა მან, ახია შენზედ, ძალიან კარგი მოგივიდა! თაგვებს არ იჭერდი, შენ, მოვალეობას არ ასრულებდი, დიდი ხანია დახრჩობის ღირსი ხარ!..

მე შიშით ისე ვკანკალებდი, რომ ვერაფერი ვერ ვუპასუხე. გზაზე მებაღის შვილს სხვა ჰატარა ბიჭი შესვდა და უთხრა.

— წამოდი, ეს კატა წყალში დავახრჩოთ, ერთ აბაზს დამჰირდნენ, თუ სახლში აღარ დაბრუნდება.

მოჰყვნენ რჩევას, თუ როგორ დამახრჩონ.

საშინელება იყო რომ ვუსმენდი, როგორ ლაპარაკობდნენ ჩემ სიკვდილზედ!—ჰარკში ჩავსვათ, ქვები ჩაუწყოთ შიგ და ისე წყალში გადავაგდოთ, თქვა ერთმა.

— ჰარკი რომ არა მაქვს, უპასუხა მეორემ,— მოდი ცხვირსახოცში შევკრათ, ქვა ჩავდოთ შიგ და ისე გადავაგდოთ, მაინც დაიხრჩობა.

მე ვფართხალობდი, ვცდილობდი ხელიდგან დავსხლტომოდი, მაგრამ მაინც შემკრეს, ცხვირსახოცში ქვაც ჩამიდეს და წყალში გადამაგდეს. ოჰ, რა საშინელი წამი იყო, როდესაც ვგრძნობდი, რომ ცივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი აგერ, აგერ ჩამძირავს; ბევრი ვიფართხალე და როგორც იყო ხელცასოციდგან თავი დავახწიე და როცა ზევით ამოვცურდი ნაპირისაკენ ბავშვებმა დაიუვირეს:

— აი საძაგელი ამოცურდა ზევით და ქვები დამიშინეს. მე ისევ წყალში ჩავიყურყუმალე და ვფიქრობდი: ეხლა-კი ცოცხალი ვეღარ გადავრჩები, ამ დროს ვიღაცას ალერსიანი, ნაცნობი ხმა მომესმა:

— არა გრცხვენიათ, რომ ასე აწვალებთ საცოდავ ჰირუტეკს, უთხრა მაშომ ბავშვებს. ჩემ ბედზედ ის თურმე აქეთ მოდიოდა.

— ჩვენ გვიბრძანეს, რომ დავახრჩოთ ეს კატა და საჩუქრათ დაგვჰირდნენ ერთ აბაზს, თუ ისევ უკან სახლში არ დაბრუნდება.

— მე მოგცემთ ერთ აბაზს და ეგ კატა მე დამითმეთ, უთხრა მაშომ,—გამლევეთ ჰირობას, რომ ეგ იმათ სახლში აღარ დაბრუნდება.

ბავშვები დათანხმდნენ. მაშო წელის ჰირას ჩამოჯდა, დამიწყო დაძახება: „ფისო, ფისუნია!“ მე დაეკჰირე იმისაკენ გაცურვა, მაგრამ ისე დაღალული ვიყავი, რომ განძრევა ვეღარ მოვახერხე. იმან ერთი გრძელი ჯოხი გამომიწოდა, დავებღაუჭე და გამოვცურდი.

მე სულ სველი და ჭუჭეიანი ვიყავი. მაშომ კალთაში შემახვია და თავისთან წამიყვანა.

მიმიყვანა ერთ ჰატარა სახლში, სადაც დედა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი სარეცხს რეცხამდა. თბილი წყლით გაბანა, მომეალერსა, რძე და ჰური მაჭამა. უთუოთ ვერ მიცნო, რადგან დედას უთხრა: „ეს კატა საშინლათ ჰგავს ბატონიანთ კატას“.

— იქნება ის არის, უთხრა დედამ.

— არა, ის არ არის, იმათ ისე უყვარდათ თავიანთი კატა, რომ დასასრჩობათ არ გაიმეტებდნენ.

— შენც უყვარდი, მაგრამ ერთი ბეჭდის გულისათვის, რომელიც დაეკარგათ, გამოგაგდეს. ესლა ადგილი ვერსად ვერ გიშოვნია, რომ დადგე.

— არა უშავს-რა, დედაჯან, უპასუხა მაშომ,—ესლა განუშორებლივ შენთან ვიქნები და მოგეხმარები.

მე ახლა მაშოსთანა და მის დედასთანა ვცხოვრობ; მაგრამ ვაი რა დიდი განსხვავებაა უწინდელ და ესლანდელ ცხოვრებაში...

მაშო არც ნაღებს და არც ძესვს მაჭმევს, მარტო რძეს მაძლევს და როცა ხორცი მომინდება უნდა მე თვითონ თაგვები დავიჭირო და ვჭამო, მაშო და დედა მისი ხორცს არა სჭამენ, ღარიბები არიან.

თუმცა მაშომ მე ვერ მიცნო, მაგრამ ხშირათ, როდესაც მეალერსება, სვინიდისი მაწუხებს ხოლმე. რამდენი უსიამოვნება მივაყენე, საწყალს!

* *
*

გუშინ მე ფანჯარაში ვიჯექი. მაშო და დედა ჩაის შეექცეოდნენ. უცბათ თითქოს მურიას ხმა მომესმა, კარები დააკაკუნეს, მაშომ გააღო და მართლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურია კი შემოვარდა ოთახში, თან მოსდევდა მებალის შვილი, ძაღლმა მაშოს გარშემო ხტუნვა და ყეფა დაუწყო ისე, რომ ჰატარა ბიჭს ლაპარაკს აღარ აცლიდა.

ბიჭმა მაშოს წერილი გადასცა; ქალბატონი სწერდა: რომ ბეჭედი იპოვნა და ის ტეუილ-უბრალოთ დაითხოვა სახლიდან, ახლა-კი ბოდიშს იხდიდა და სამ ძანეთს უგზავნიდა სახუქრათ. მანამ მაშო ამ წერილს კითხულობდა, მურიამ თვალი მოიკრა.

— ოჰ, შე საძაგელო, ავო კატავ, დამეფა მან. —არ დამსრჩვალხარ?! შენი გულისათვის მაშო გამოაგდეს, ჩიტი შეჭამე, შე საძაგელო, ავო! რა გინდა. რომ აქ მოსულხარ?

„გაჩუმდი, გაჩუმდი, ჩემო კარგო მურიავ, ვკნაოდი მე. ეველაფერი მოვინანიე და თავის დღეში ავი და ზარმაცი აღარ ვიქნები: თაგვებს დავიჭერ, ვმცდები, რომ სარგებლობა მოუტანო ამათ.

მურია თავისას არ იშლიდა, მანამ ბიჭმა კარში არ გაიყვანა.

* *
*

მას აქეთ რაც აცივდა. საწყალ მაშოს ცხოვრება გაუჭირდა. შეშას ეიდულობდა, შეშა-კი ძალიან მცირე იყო. ამასთანავე მაშოს დედაც ავათ გახდა, მუშაობა ვეღარ შესძლო. მარტო მაშო შრომობდა, ეე მაინც არასოდეს არ მივიწყებდა, თავის წილ რძეს მე მაჭმევდა, თვითონ-კი, საწყალი, მშრალ ბურსა სჭამდა და მთელი დღე რეცხავდა და აუთოებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

გუშინ ძალიან მოწყენილი ვიყავი. მთელი დღე ეურები მქონდა აცქვეტილი, რომ იქნება თაგვის ფხაკუნი გამეგო; მაშომ ავათმყოფს დედას ჩაი დაალევინა და დაწვა.

სახლში სიჩუმე ჩამოვარდა, მე-კი არ მეძინებოდა, ფეჩის წინ დავწექი, მაშოს ლოგინზე შევხტი, მაგრამ ვერსად ვერ მოვისვენე! მინდოდა ბუსრიდამ სასლის სახურავზედ ამძვრალვიყავ, რომ იქნება ბელურები დამეჭირა, უცბათ კუთხეში რაღამაც გაიფაჩუნა, იატაკზე გადმოვხტი, სული გავნაბე და ეურები ვცქვიტე, ფაჩუნი კიდევ მოესმა. ერთი თვალის დახამხამებაზე კუთხეში გავჩნდი; ვსედამ კარგა დიდი ნახვრეტია. დავჯექი და ველოდი, ოაგვი თუ გამოხტება. დიდხანს ვიჯექი და მოთმინებიდამ გამოვედი, ძალიან მშიოდა. ვიფიქრე, ჩავხტები ამ ნახვრეტში და თაგვს თავზედ მოულოდნელათ დავეცემი მეთქი. ნელ-ნელა იატაკს ქვეშ გავჩნდი და აი რა ვნახე: იქ ერთი ორმო იყო, ორმოში ვიღაცას ფეხი მოჩანდა, არ ინძრეოდა, იდგა თავისთვის, გავხტი განზედ, შიშით გულმა ფანცქალი დამიწყო, ახლა ამ ფეხმა რომ წამკრას! არა, ის უძრავათ დგას. ნეტავ ვისი ფეხია, ვფიქრობ და ნელა-ნელა ახლოს მივეპარე, დავხუნე, ადამიანის სუნი არ უდიოდა.

ახლა-კი ამ ფეხს უფრო თამამათ ბრჭყალები ჩაუგდე და კბილებით თრევა დაუწყე. უცბათ ერთი მანათიანი გაღოგორდა, მერე მეორე, მერე კიდევ რამდენიმე წვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ფული. ოჰ, რა კარგია, ვიფიქრე, როცა ფული დავინახე, გავათრევ ოთახში და ფულებს მაშოს გაუგორებ, როგორ გაეხარდება საწყალს! რაც ჯანი და ლონე მქონდა ფეხს თრევა დაუწყე.

ფეხი-კი ვერ გამოვათრიე, მაგრამ ერთი უზალთუნი კიდევ გამოვაგორე ნახვრეტიდან, მეც თან გამოვეკეი. მაშო ამდგარიყო და ჩაის ამზადებდა.

— სად იპოვნე ეს ფული, ციცუნია? დაიკვირა მან, როდესაც უზალთუნი დაინახა.

— მე-კი ისევ ნახვრეტში შევხტი და კიდევ ერთი ფული გამოვაგორე.

— დედა, დედა, საიდან მოაქვს ამ ციცუნიას ეს ფულები, დაიკვირა მაშომ.—აი მეორე უზალთუნიც გამოაგორა იატაკ ქვეშიდან.

მიეიდნენ ორივენი ნახვრეტთან და დაუწყეს ეურება, მერე მაშომ დიდი დანა მოარბეინა და ერთი ფიცარი ააძრო.

— ოჰ, მაშო ეს უთუოთ ძიან, რომელმაც ეს სახლები დაგვიტოვა, ფულები მაგ წინდაში ჩაუარა ბ ისე შეინახა. ყველანი ამბობდნენ, რომ იმას ფულები ჰქონდა, ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვნე. აი კატამ კი იპოვნა. ვის მოუვიდოდა ფიქრათ, რომ ფულები წინდაში, იატაკ ქვეშ, შენახული იქნებოდა.

—ფისო, ფისო, ჩემო ფისუნია, რა ჭკვიანი ეოფილხარ, მითხრა მაშომ, ხელში ამიყვანა და დიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს მეალერსებოდა.—ესლაკი ურძოთ თავის დღეი ადარ დარჩები!

მართლაც და ახლა ისე კარგათა ვცხოვრობთ, რომ უწინდელი გემრიელი ლუკმები ადარცკი მაგონდება.

ეკ. მ—სა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბრალო ღამურები.

(დასასრული).

ამურებს ცხოვრებაც უცნაური აქვთ. ძილში ატარებენ სიცოცხლის უმეტეს ნაწილს. დადგება თუ არა შემოდგომა-სექტემბერში, ზოგჯერ მარიამობისთვეშიაც კი ღამურები გაჭრებიან, აღარა ჩანან. დანამდვილებით კამოკვლეულია რომ ისინი სამხრეთს არ მიფრინავენ, როგორც სხვა ფრინველები. ხოლო იძალებიან თავიანთ საიდუმლო საყარაულოში მთელი გროვობით, ერთი მეორესთან მიკრულნი, უკანა ფეხებით თავდაღმა ჩამოკიდულნი—ასე მაისამდის გასტანენ.

გაზაფხულზე, როდესაც ტყე შეიმოსება მწვანეთ, ბალახი აბიბინდება, როდესაც აუარებელი მწერი მოედება არე-მარეს და სტკბება სურნელოვანი ყვავილე-

*) იხ. „ჯეჯილი“ № 3. (1906—7)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის წუწვნით, მხოლოდ მაშინ ღამურა გაიღვიძებს, გაისწორებს თავის ფრთებს და საღამოჟამს გაფრინდება დაკლის საძებნელათ. თვალს ვერ გაუსწრობთ თუ ღამურა ვის დასდევს ჰაერში! ღამურას საზრდო არის ყველა ღამის მწერი: კოღო, ბუზი, ჰეჰელა, ბუზანკალი და სხვა... მისი განიერი პირი მაგარი კბილებით არის გაჭედილი. ეოველ კბილს ზემოდან რამდენიმე წვეტიანი როკი აზის.

ღამურა გამოვა თუ არა საზრდოსთვის სულ თავის ბინის გარშემო ტრიალებს. ეურები სმენათ აქვს მომართული და განიერი პირი გაღებული. ჰეჰელები და ბუზანკალები მისი მსხვერპლი არიან, ღამურა მარჯვნივ და მარცხნივ იჭერს მათ. მისი კბილები დაუსვენებლივ მუშაობენ და ერთ წუთას ულაპამენ მსხვერპლს, ხოლო მათი ფრთები და ფეხები ცვივა მიწაზე.

ღამურა ცოტა შესვენებით ორ-სამ საათს ნადირობს, სანამ კარგა არ გამოძღება, ურიცხვი უნდა იყოს ის მწერები, რომლებსაც ღამურა შესჭამს ამ ნადირობის დროს. ბოლოს ღამურა გაძღება, სხეული დაუმძიმდება, ისე ჩქარა ვეღარ ფრინავს, იღალება, ბოლოს მიდის დასამინებლათ თავის ფუღუროში ისე კი რომ გათენებისას უნდა ისევ გამოვიდეს სანადიროთ ერთი ორი საათით და მერე ისევ დაიძინოს მთელი დღის განმავლობაში.

ღამურა მაისში რომ იღვიძებს მთელ ზაფხულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფრინავს დავლის საძებნელათ. აგვისტოში, ცოტა რომ აცივდება ისევ ძილს მისცემს თავს, მთელ ზამთარში ადარ იძვრის. მაშასადამე ღამურას სიცოცხლე სამ თვეს გრძელდება, ანუ ოთხმოცდა ათ დღეს, მაგრამ ამ დროსაც ის ყოველთვის არ გამოდის დავლის საძებნელათ. წვიმაში, დიდ ქარში, ბურუსის დროს, ღამურას ვერ გამოიყვანთ ბინიდან, ისე რომ ოთხმოცდა ათ დღეში სულ ორმოცდა ათ დღეს თუ გამოვა დავლის საძებნელათ და ამ ორმოცდა ათ დღეს მისი ნადირობა მხოლოთ დღეში სამი საათიდან ხუთ საათამდის გრძელდება. მაშასადამე 150—250 საათი არის ღამურა მოძრაობაში, ე. ი. წელიწადში ექვსიდან ათ დღემდის. დანარჩენი 336 დღე მას სძინავს. აი ამ ექვს—ათ დღეში უნდა გაძღეს, რომ მთელ წელიწადს ეყოს.

საკვირველია, რომ ღამურას საშინელი მადა აქვს და ამასთანავე შიმშილის ატანაც იცის, გაგაკვირვებთ მისი ჩქარი ფრენა და ამასთანავე ხანგრძლივი ძილი და მოსვენება. ამ ბატარა მახინჯში ბუნებამ მოათავსა ერთიცა და მეორეც. ამას ვერ ვნახავთ სხვა ცხოველებში. ასე და ამ გვარათ გაჩნდა ერთი საკვირველი არსებათაგანი. მაგნე მწერების გაწყვეტაში ღამურას ეკუთვნის უპირატესობა. ღამურა რომ არ იყოს, ტყეები აქამდის განადგურებული იქნებოდენ. დედა მიწაზე ბევრი საკვირველი მცენარეები გაქრებოდენ.

სხვა-და-სხვა ბუზანკალები, ბუკნაჭოები და აუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი სხვა მავნე მწერები დაფრინავენ, სჭამენ და საზოგადოთ ღამღამეობით მუშაობენ, ამიტომაც ის ცხოველები, რომელთაც შეუძლიანთ დღის ით მათი გაწყვეტა ღამ-ღამობით ვერ დევნიან და რომ ღამურა არ იყოს, ისე გამრავლდებოდენ სულ ცოტა ხანში, რომ იმა-ი მატლები შესჭამდენ მთლათ მცენარეულობას.

აი ამიტომ უნდა გვიხაროდეს, როცა ჩვენ სახლის სახურავში ღამურა ბინას გაიკეთებს. იშვიათია ჩვენში ამისთანა სასარგებლო ცხოველი. ეგენი იცა-შენ ჩვენ ბაღებს, ბოსტნებს, მინდვრებს გამანადგურებელ მტრისაგან, რომელსაც ადამიანი ვერაგზით ვერ მოერევა.

ღამურა არ დასდევს როგორიც უნდა იყოს მისი ბინა. ის მოთავსდება ადვილათ ხის ფუღუროებში, კედლის ნანგრევებშიაც, სახლის სახურავს ქვეშაც, ფუტკრის ძველ სკებშიაც—ერთი სიტყვით ოღონდ ბნელი, მშრალი და მეუდრო კუნჭული ნახოს, რომ არც ქარი მიუდგეს იმას, არც მზის შუქი, სადაც-კი შესაძლო იქნება თავი შეაფაროს სიცხისაგან და ეინვისაგან.

ამ გვარ კუნჭულში ღამურები მთელი გროვობით ცხოვრობენ, აქ მრავლდებიან და აქვე კვდებიან.

მსოლოთ საძაგელ სუნზე და ზოგჯერ იმათ წიალზე შეატყობთ, რომ ღამურების გროვას იქ ახლოა-მახლო ბინა უნდა ჰქონდეს.

ღამურას მტერი ბევრი არა ჰყავს, რადგან როგორც კატებს, ისეც კვერნებს და სხვა გარეულ ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებს არ უყვართ ღამურები, იმიტომ რომ ამათ ფრთებზე აქვთ რბილი მარღვი, რომლიდანაც აერო-ლებული სისქე გამოდის და ამის გამო ღამურას სდის სამაგელი სუნი და ამისი სორციც არ იჭმევა ამ სუნის გამო. ვერც ბუ ჩაიგდებს სოლმე ამ მო-ძრავ ღამურას.

ისე რომ ღამურას მტრებათ ჩაითვლება ზაფხულში სანგრძლივი ავდარი, ზამთრის ძლიერი სიცივე და ადამიანი.

ჯერ კიდევ ძველი დროიდან ადამიანი გასდა ღამურას მტერი. მთელი დღე ადამიანი ფეხზე დგას, ამიტომ ღამე მოსვენება უყვარს, მსდალი ხდება, ეო-ველი ხმაურობა, ეოველი ეგირილი, ფაჩუნი აშინებს მას. ველურები ფიქრობდენ, რომ ღამე ავი სული ტრია-ლებსო, გარს გვახვევიან ეშმაკები, ალები და ქაჯე-ბიო. ღამურაც მათი აზრით ჩ ჩვენდა საუბედუროთ-ჯო-ჯოხეთიდან მოვლენილია ეგონათ. ზღაპარი სამხრეთ ამერიკის მაჩქანელებზე, რომელნიც ძმინარე კაცების და ცხოველების სისხლს სწოვენ, ხომ უფრო ღამურები-სადმი ზიზღს იწვევდა. მისი უცნაური, მახინჯი გა-რეგნობაც უფრო ამტკიცებ ამ აზრს და აი, ადა-მიანები თავიანთ საუკეთესო მეგობარს სთვლიან ბო-როტ მტრათ. ღამურა რომ ოთახში შეფრინდეს უსა-თუოთ მოჭკლამენ. თუ იმას სადმე სახლის სახურავ ქვეშ თვალს მოასწრობენ,—მთლათ მთელ გროვას ამო-სწუვეტენ.

თქვენ ხომ, უმაწვილებო, აღარ მოეკიდებით აგრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკათ ღამურას, მის ბინას გაუფრთხილდებით და დაიცვამთ კიდეც ბოროტი სალსისაგან.

იქნება თქვენვე განგებ ჩამოჭკიდოთ ბაღში ხის ეუთი, ან ხეში ფუღურო გაუკეთოთ, სადაც შესძლებს ღამურა დაბინავებას. სამაგიეროთ თქვენი ბაღი აუვავდება და ამწვანდება. ვაშლები, მსხლები და სხვა ხეხილი აუარება გექნებათ, რადგან ღამურა დაიცავს მათ ქურდ-ბაცაცა მწერებისაგან.

რუსეთში ოცამდე სხვა და სხვა ჯიშის ღამურებია. მათ უფრო ბლომათ ნახავთ სამხრეთის მხარეს, სადაც უფრო მეტი მწერებია, ღამურებიც იქ უფრო ბევრია. ისინი ცხოვრობენ გარდა ადამიანებთან— ტეეებში, მდინარების და ტბების ნაპირას, ტრიალ მინდვრებში, უდაბნოებში, სადაც-კი ფუღუროები მოიპოვება-ძველი ხეების ამძვრალ ქერქ ქვეშ, კლდის ნაპრალებში, გამოქვაბულებში, აკლდამებში, ზოგჯერ ცხოველების სოროებშიაც კი ნახავთ მათ. სადაც კი მწერები ბლომათ მოიპოვებიან იქ უსათუოდ ღამურებიც ბლომათ იქნებიან.

ღამურებში მეტათ განსხვავდება ერთგვარი დიდ-ეურიანი ღამურა, რომლის ეურები სიგრძით ნახევარ ტანს უდრის. სხვა ჯინშის ღამურები-კი ერთმანეთში ბევრათ არ განირჩევიან, ყველაზე დიდი ღამურა ბეღურას ტონაა, მაგრამ ზოგი კი ბეღურაზე ორჯელ პატარა იქნება. ჩვენში, საქართველოში არიან როგორც ზემოთა ვთქვით, ერთგვარი ღამურა, რომელსაც ეძახიან ნალცხვირას.

ან. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახუმარო გასართობი.

ხანში შესული მებაღე
ხახვის ძირებს რგავდა კვალში,

იქვე მას ორი ცუგუა
შეჰყურებდნენ ჩუმად თვალში



—ნეტავი რა დაჰკარგვია
ამ ბოსტანში მოხუცს დღესო,

—თაგვს თუ ეძებს—სთქვეს,
მოდი ჩვენც
მივეშველოთ მებაღესო.



საცა ნახეს მათ ნათხარი,
ყველგან ცხვირი წაურიეს.

და მებაღეს კვლები სულ მთლად
აურიეს, დაურიეს.

გაუჯავრდა მათ მებალე ამისათვის მელოდითო?!

— რად გვიწყრებით, ჩვენც ერთგულად თაგვთ ძებნაში გშველოდითო!..

— შე ზარმაცო, შენა? უთხრა ერთ დილით მამამ თავის შვილს: — შენ კიდევ ლოგინში წევხარ და მზე კი ორი საათია, რაც ამოვიდა.

— ჩემი რა ბრალია, მამილო, უთხრა შვილმა თვალების ფშვნეტით, რომ მზე გათენებამდის ამოდიოდეს.

* *
*

პატარა გოგონას ჰკითხეს: ვინ უფრო გიყვარს, შენი კატა თუ შენი დედოფალა? გოგონამ დიდი ყოყმანის შემდეგ ჩურჩულით თქვა: კატა უფრო მიყვარს, მაგრამ ჩემს დედოფალას არ უთხრა, თორემ ძალიან გამიჯავრდება.

შარადა — მელანი. **ამოცანა:** ლიფლიფა (ფარანი).
გეოგრაფიული ჯვარი: ქუთაისი, თელავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხვდება და

მაპატიებს!

ედაჯან, მომე რაღა ის ხუთი მანათი, რომელიც მამამ აღმითქვა თავის „ნაგრადნის“ ფულიდგან. დღეს ოცდა ორია, თუ დღესაც არ ვიყიდე საკაბე, შობისთვის აღარ მომესწრება.

— მაინც აღარ მოგესწრება, ტყვილად ნუ ცმუკავ და მეც ნუ მაწუხებ.

— დედაჯან, რეებს ამბობ, როგორ თუ აღარ მომესწრობა? ლიზა ასე მეუბნება, ერთ დღეზედ შვგიკერავო. შობა საღამოს „ვეჩერში“ უნდა წავიდე უთუოთ. სუყველა ჩემი ამხანაგები თეთრი კაბებით იქნებიან და მე-კი უნდა ჩამოვრჩე!

ასე ებრძოდა თოთხმეტი წლის თამრო, მეოთხე კლასის გიმნაზიელი, თავის დედას მთელი ერთი საათი და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ქისა ამოაღებინა ჯიბიდგან.

— აბა ხუთ მანეთიანი რომ არა მაქვს რა მოგცე, აი ხედავ სულ თუმნიანები მიწყვია ქისაში.

— რა უშავს, დედაჯან, განა თუმნიანს ვერ დავახურდავებ, ბალღი ხომ აღარა ვარ. აქვე ჩვენს ახლო რომ ნარიმანაანთ მაღაზიაა იქ შევირბენ, ვიყიდი შვიდ არშინ თეთრ კაშიმირს და წუთზედ ნაშალს მოგირბეინებ.

— როგორ თუ იყიდი? განა მარტო შენ მიხვალ სასყიდლად, ლიზა კი არ მოგდევს?

— ლიზაც დამპირდა, მაგრამ... არა სკალიან, ორ ორი დისწულის კაბა აქვს გასათავებელი, მეუბნება ნუ მამაცდენო.

— ორ ორი კაბა აქვს გასათავებელი და შენც ზედ უნდა მიუმატო, არ გებრალება? განა არ შეიძლება გიმნაზიის კაბით წახვიდე იმ შენ „ვეჩერში“?

— დედაჯან, დედაჯან, რეებს ამბობ... გიმნაზიის კაბა ისედაც ჭირივით მეჯავრება, თავი მომაბეზრა. და... თამრომ თვალებზე ხელი მიიფარა და ფშრუკუნი დაიწყო.

— ოჰ! მოჰყე? კიდევ ცრემლები, ცრემლები! შე ცულლუტო, ქარაფშუტავ! ჰა წაიღე, თავში იხალე. ხუთი მანათი კი ამ წამში უკან მომიტანე. გესმის, ხელსახოცში კარგათ გაახვიე, ჯიბიდგან არავინ ამოგაცალოს.

— უი შენ კი გენაცვალე, შენა! შეჰყვირა თამრომ და ნიავ ქარივით გავარდა თავის ოთახში, ფაცი ფუცით ჩაიცვა პალტო, დაიხურა ქუდი და ღიღინით ჩაირბინა კიბეზედ. თამრო პირველად ყიდულობდა თავისთვის საკაბეს და ეს აზრი დიდათ ახარებდა.

— მე თითონ, უუმფროსოთ, თავისუფლად, როგორიც მინდა იმისთანას ვიყიდი,—ეუბნებოდა-თავის თავს და ბედნიერათ იღიმებოდა.

* *
*

ნარიმანაანთ მაღაზია ხალხით იყო გაჭედილი. ნოქრები, თვით მაღაზიის პატრონი ფაცი ფუცით უზომავდენ მყიდველთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართალს, უხვევდნენ, ანგარიშს აძლევდნენ, თამრო ძლივს მიუახლოვდა დაზგას, რაზედაც აუარებელი სავაჭრო ეწყო, აღელვებულმა საჩქაროთ გადაათვალიერა სუყველაფერი, მერე იაფ ფასიანი თეთრი ქიშმირი აარჩია, მოაჭრევინა და დედის გამოტანებული თუმნიანი მიაწოდა დახლიდარს. საჩქაროდ დაავლო ხელი გახვეულ საკაბეს, ნაშალი ფაცი ფუცით ჩაიდო ჯიბეში და გაწითლებული, თავმომწონე რომ „დიდი ქალივით“ ივაჭრა, სახლისაკენ გამობრუნდა. შუა გზაზე თამროს მოაგონდა, რომ სარჩულიც უნდა ეყიდნა და ისე უცებ გამობრუნდა, რომ კინალამ არ გადასჩეხა იმის პირდაპირ მომავალი მოხუცი კაცი...—უკაცრავათ! მორცხვათ შესძახა მოხუცს და საჩქაროდ გაეშურა მაღაზიისაკენ, იქ ორი არშინი მიტკალი მოაჭრევინა და ჯიბეში ხელი ჩაიყო ფულის მისაცემათ და პირს კატა ეცა: ჯიბე ცარიელი დაუხვდა.

— უიმე! რაღა ვქნა?! რა უთხრა ახლა დედაჩემს! წამოიძახა გაფითრებულმა თამრომ და აქეთ იქით დაიწყო ყურება, ეგონა ვინმე უჩვენებდა დანაკარგს, მაგრამ იმისთვის ვის ეცალა, ყველა გაფაციცებული ეშურებოდა თავის საქმეს. თამრომ მიტკალი ისევ უკან მიუბრუნა ვაჭარს და საჩქაროთ კარში გამოვიდა. დუქნის წინ ორად მოკაკული, ძველ ქურქში გახვეული, ჯოხზედ დაბჯენილი ის ბებერი კაცი შეხვდა, რომელიც წამის წინათ კინალამ გადააქცია და მორცხვათ შეეკითხა:—თქვენ ხომ არ იპოვნეთ ჩემი დაკარგული ფული? სულ ხუთი მანათი და ექვსი შაური იყო ხელსახოცში გახვეული!

— ფული?!... მე?... არა! ქალბატონო... დუქანში დაგივარდებოდა, აბა იქ მოჰკითხეთ დუქნის ბიჭებს... ნაწყვეტ ნაწყვეტათ და როგორღაც შემკრთალი უპასუხებდა მოხუცი.

თამრო ისევ დუქანში შებრუნდა, მაგრამ არავის არაფერი არ უთხრა, ის დარწმუნებული იყო, რომ მოხუცმა იპოვნა იმის ფული. „მაშ ენა რად დეება, სულ რათ დაიბნა? თითქო ჯიბისკენაც ხელი წაიღო“ ჰფიქრობდა თამრო და დუქნიდგან ისევ საჩქაროდ გამოვიდა, მაგრამ მოხუცი იქ აღარ დაუხვდა, საწყალი! ვინ იცის როგორ იყო გაჭირვებული, იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება დედა არცკი გამიჯავრდეს. და თითქმის დამშვიდებული გაბრუნდა.

* * *

ბებერი გიორგი სამხარაძე ლასლასით და რხევით, ჯოხზედ მაგრად დაბჯენილი გამოვიდა ქუჩაში, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო რაღასაც და ვიღასაც ეძებსო და სანუგეშებელი რომ ვერა დაინახარა თავიანთ განშორებულ ქუჩაზედ გზას გაუდგა.

— წავალ „ბულვარზედ", იქ ბევრი მდიდარი და ბედნიერი კაცი დადის, ხელს გავიშვერ, მოწყალებას ვთხოვ, ტუტუნებდა ის. „ადამიანის გული ქვა ხომ არ არის, ერთიც არის შემიბრალებს ვინმე, ნუგეშსა მცემს... იქნება ძველი ნაამხანაგარიც შემხვდეს ვინმე, მოიგონოს ძველი დრო, ჩემი გულ-უხვი მასპინძლობა, გაჭირვებული კაცის შებრალება... ნენიას თუ დღესაც თბილი არა შევაჭამერა, სულს განუტევებს... საწყალი მაროც მთლად მიკნავებულია, ნახევრად შიშველი... ეხ, ეხ! წუთი სოფელო, ერთ დროს არავის შეარჩენ! რა ვიყავ და რა ვარ... პატიოსანი ხელოსანი, ქეთხუდა კაცი, ტოლ-ამხანაგობაში ნაქები, შრომის მოყვარე მოქალაქე და დღეს კი მაწანწალა გლახად გადვიქეც! ოჰ! დაილოცა ღმერთო შენი სამართალი! რა დანაშაულისთვის გამომილიე თვალში სინათლე, კლავში ღონე... რად წამართვი ვაჟკაცი შვილი, სიბერის ერთათ-ერთი ნუგეში..? ამ მწარე ფიქრებში გართულ გიორგის უცებ დაეტაკა სიხარულის ღიმილით მომავალი თამრო და კინაღამ გადასჩეხა.

გაბრუნების დროს თამროს კაბის ქვეშიდგან ხელსახოცში გახვეული რაღაც ჩაუცურდა, გიორგიმ დაინახა, აიღო და უნდა ბავშვისთვის დაებრუნებინა, მაგრამ ის თვალის დახამხამებაზედ სადღაც მიიმალა. გიორგიმ ხელსახოცი გახსნა და ბედნიერების ღიმილმა გადაჰკრა პირი-სახეზედ.

— ფული! მერე რამდენი! ეს კარგი ღვთის მოწყალებაა ჩემი ოჯახისთვის, სთქვა იმან და ხელსახოცი ჯიბეში ჩაიდო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს რომ ქურდობაა... არა, რასაკვირველია, ცოტა ყოყმანის შემდეგ იფიქრა გიორგიმ და ჯოხის რაკა-რუკით ფეხს აუჩქარა ქალის დასაწევნათ... რა იქნა ის დალოცვილი, სად ჩაიყლაპა... ფული რომ დაუბრუნო, იქნება მიწილადოს რამე ჩემი პატარა მაროსათვის, საშინელ კეთილ ქალსა ჰგავს... ეს ფული რომ ჩემი ყოფილიყო, საშობაოთ რა რიგ გავახარებდი ჩემ საცოდავ ოჯახს, რამდენ რამეს ვუყიდდი. ლურჯი ბამბაზიის კაბა როგორ მოუხდებოდა ჩემ თეთრწითელ გოგონას! ნენეს წითელ ღვინოს, სამწვადეებს, ჩაი-შაქარს... ერთ ვირის საპალნე შეშას... მაგრამ სად გაჰქრა ი ქალი... უთუოთ უნდა მივცე... რომ არ დამენახა დამკარგავი კიდევ ჰო, მაგრამ ჩემის თვალით დავინახე, როგორ დაუვარდა ჯიბიდგან. რო არსადა სჩანს რა ვუყო, უთუოთ ბედმა მე მარგუნა... აბა სად ვეძებო ამ ვეებერთელა ქალაქში...

— ჩემი ფული თქვენ ხომ არ იპოვნეთ? ასე მოულოდნელად და უცებ გაჩნდა მის წინ პატარა თამრო, რომ გიორგი მთლად დაიბნა, თავის კეთილი განზრახვა, რომ ფული დაებრუნებინა, სულ გადაავიწყდა... იცრუვა კიდეც, რომ შეიძლება დუქანში დაგრჩაო და თამროს გაბრუნების უმალ ვიწრო ქუჩაში შეუხვია. იქ კედელზედ დიდხანს იყო მიყუდებული, გულის ფრიალი ახრჩობდა, სვინიდისი სწვამდა... ქურდობა ვქენ, ქურდობა... ტუტუნებდა გიორგი. ღმერთო, მაპატიე უმგზავსი საქციელი, შეინდე დავრდომილი. სამოცი წლის კაცი ვარ და პირველად ჩემ სიცოცხლეში განვიძრახე სხვის საკუთრების დაჩემება! რამდენჯერ სხვის ოქროებში ხელი მირევია, ათასი თუმნობით მბარებია ამხანაგების სარჩო და თვალი არსად წამსვლია, ცუდს აზრს გულშიაც არ გაუვლია და დღეს კი ხუთი მანათისათვის ხელი გავისვარე.

* * *

ვერის სულ განაპირა ქუჩაზედ, ერთ პატარა მიწურ ოთახში, ნახევრად განელებულ რკინის ფეჩთან მიხუხულები ისხდნენ ფეხებ დასიებული, წყალმანკით შეპყრობილი ნენე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი შვილიშვილი მარო და მოკეთმენლად გიორგის მოელოდ ნენ.

— შვილო, უთხრა ხმის კანკალით ნენემ შვილიშვილს, — ადე ერთი ლამფა აანთე, კარზედ გაიხედე, პაპაშენი ხომ არ-სადა სჩანს, ნეტა თუ რა დაემართა, პოლიციელებმა ხომ არ დაიჭირეს ის უბედური მათხოვრობისათვის? ეხლა ხელის გა შვერაც აკრძალულია უბედურისათვის.

— პაპა სრულებითაც მათხოვარას არა ჰგავს, იწყინა მა-რომ,—ის თავის გახეხილ ქურქშიაც ისევ ქეთხუდასა ჰგავს, ჩვენი მეზობლები ისე უკვრენ თავს, თითქო ნამდვილი სოვ-დაგარი იყვეს.

— ჰაი, ჰაი! რომ სოვდაგარი იყო, მაგრამ დაიქცეს და დაიღუპოს ეხლანდელი დრო. ერთმა წამმა, ერთმა უბედურმა შემთხვევამ მიწასთან გაგვასწორა, შვილო, მაწანწალა მთხოვ-რებათ გადაგვაქცია... ჩვენი ლამაზი ოთახები, ჩვენი ძველის ძველი ოჯახის მოწყობილება, ტანთსაცმელი მტარვლის ცეცხლმა დასწვა და დაჰბუგა... მაგრამ სახლს, საცხოვრებელს ვინ სჩივის, რომ საცოდავი მამაშენი, ჩვენი სიბერის ნუგეში ვანუა, ჩვენი ლუკმის მჭმეველი რკინის გზის ბუნტში არ მოჰ-ყოლოდა... ოჰ, შვილო და რა შვილო, შენი გვარეულობის თვალო და მასახელებელო, სადა ხარ ნეტა? ვინ იცის რო-მელ გაყინულ ციმბირის კუთხეში ამოგდის სული და შენი ბედკრული დედ-მამა კი აქ მზეს და თვარეს უყურებს კიდევ... ასე მოსთქვამდა საცოდავი ნენე და მაროც სლუკუნით ბანს აძლევდა, როდესაც გიორგი კარგა მოზდილი ბოხჩით, ოთახ-ში შემოვიდა.

— ოჰ, დედაკაცო, კიდევ მოჰყე შენ ისტორიას! რა გინდა ადამიანო, ამ გოგოს რაღაზედ უხეთქავ გულს და თვა-ლებს ცრემლებით აფუფქვინებ. აბა სატირელი რა გაქვს! ღმერთი მოწყალეა, თავის გაჩენილს არ დააგდებს, ცოცხალ კაცს გზა გეეხსნება საიდგანმე. ბრალი იმის ამხანაგებისა, რომ მტრის ტყვიამ წუთისოფელს გამოასალმა, თორემ ვანუას რა უჭირს, იქნება მალეც დააბრუნონ თავის ქვეყანაში, იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დედ-მამას, თავის ობოლს კიდევაც უპატრონოს, იქნება კიდევ გვერგოს ტკბილი ლუკმის ჭამა...

— იჰ, იჰ! განა მაგ დღეს მოვესწროზი, განა ჩვენთვინ იმედი კიდევ არის სადმე?

— ღმერთი მოწყალეა, ღმერთი თავის გაჩენილს არ დაავდებს... დრონი იცვლებიან, ვინ იცის დღეს რა მოაქვს და ღამეს რა. შეიძლება დღევანდელი ავაზაკურათ დასჯილი, ხვალინდელმა დღემ გმირათ გადააქციოს. დღევანდელი გლახა, ხვალ იქნება სოვდაგრათ იქცეს... აი, დილას პური არა გვქონდა და ეხლა კი რამდენი რამ მოვიტანე. აბა, გოგოჯან, ჩაიდანი მისდგი ფეჩთან, ჩაის იარაღი მოამზადე. ერთი ლაზათიანათ, ძველებურად ჩაის შევექცეთ და თან გიორგიმ ბოხჩა გახსნა და დაუწყო ფეჩის წინ თავისის მონატანის ამოლაგებას.—ღმერთმა აკოცხლოს, ადღეგრძელოს, თავის დედმამის ნუგეშად აღზარდოს, ვინც ჩვენ ამ დღესასწაულებში ლუკმა გაგვიჩინა!

— ქა, ეგ რამდენი რამ გიშოვნია! შეჰყვირა ნენემ. ვინ ანგელოზი გამოგიჩნდა, ვის ლოცავ აგრე გულიანად?

— შენ ხილი იხილე, ჩემო ნენე, მეხილეს რასა კითხულობ, და თან მაროს ჩუმათ ცოლს თვალი უყო—მერე გეტყვი ყველაფერსაო.

სამხარაძიანთ ოჯახში წამით კმაყოფილებამ დაიმკვიდრა. გაჩაღებულ ფეჩში ცეცხლი გუზგუზებდა. ცხელ-ცხელი სურნელოვანი ჩაი თეთრის პურით და ათასი შესატანებელით მათ დამშეულ და დანატრულებულ თვალს და გულს უხარებდა. მაროს უფროსების ბაასში მალე ჩეეძინა და პაპას მოტანილი საკაბით გულზედ ფეჩის გვერდზედვე გადაგორდა.

— დალიე, ადამიანო, ერთი ჭიქა კიდევ, წითელი ღვინო სულ სისხლად წაგივა და ფეხზედ დაგაყენებს. რამდენი ხანია ღვინის სუნიც აღარ მოგვდენია ჩვენ, საცოდავებს, გახსოვს წინათ ჩვენ პატარა სარდაფში რამდენ კახურს ვინახავდით? ნამდვილ კახურს, ეხლანდელივით ერევნულთან ნარევს კი არა... ჰე, ჰე! წუთი სოფელო, მაცდური ხარ, მაცდური!.. ცვალებადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავლევ კი ღვინოს და დიდის სიამოვნებითაც, — რამ ყელში კი არ ჩამდის. საიდგან და როგორ გააჩინე ყოველი ეს ღვთის მოწყალება? ნუ თუ ძველი ამხანაგი შეგხვდა ვინმე და ხელი ვამოგიწვდინა, მოიგონა შენი პურადობა, ხელგაშლილობა...

— ძველი ამხანაგი?! ამოიოხრა გიორგიმ, სადღაა ამხანაგობა, სადღაა ეხლა სიბრალული? შიმშილით რომ სული ამოგვძვრეს, ხელს არავინ გამოგვიწდენს დასახმარებლათ... არა... —ვიპოვნე ქუჩაში, ვიპოვნე ხელსახოცში გახვეული ხუთი მანათი და ექვსი შაური, აქ გიორგის ყელში თითქო რაღაც გეებჯინა და შემდეგი ველარ წარმოეთქვა.

— იპოვნე! მერე პატრონი არავინ გამოუჩნდა, აქეთიქით არ მოიკითხე? საყვედურით მიატანა ნენემ.

— პატრონი, პატრონი?.. პატრონი გამოჩნდა, მაგრამ დაბრუნება ვერ მოვახერხე!.. ის ისე უცებ გაჩნდა ჩემ წინ, რომ გონება დავკარგე, სირცხვილით რომ იმისი ფული ჯიბეში ჩავიდე, კიდეც დავიბენი... რაღაც წავილუღლუღე და ის მაშინვე გაბრუნდა... თითქო დაიჯერა, რომ იმის ფულის ამღები მე არ ვიყავი... იქნება მიხვდა კიდეც, რომ იმ ფულს მე უფრო ვსაჭიროებდი... ის მდიდარი და ბედნიერი ყმაწვილი ქალი იყო და ჩემი მარო კი ტიტველი და უბედური...

— პატრონი ნახე და არ მიეცი? ოჰ, გიორგი? ნუ თუ ეგ შენა ხარ? სად არის შენი სისპეტაკე?..

— ნუ მაყვედრი, დედაკაცო... მე თითონ ბევრი ვიყოყმანე... ნახევარი სიცოცხლე დავიკარგე მაგ საქციელისათვის, მაგრამ ორ-ორი სული მშიერი მეგულებოდით, ის კი ამ ფულს ხელის ჭუჭყათაც არ იკმარებდა, ამ დღესასწაულებში სულ კაკიკუკებზედ შესჭამდა... თუ ღმერთი ჩვენსკენ გადმოიხედავს, ჩემი ვანუა ცოცხალი დაბრუნდება, როგორც მპირდებიან, საცა იქნება მოვძებნი იმ ქალს და დავუბრუნებ. ის გაიხარებს, რომ ოჯახი ფეხზედ დამიყენა, მიხვდება და მაპატიებს.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერი ქვეყანა.

ედნიერებას მხოლოთ ის დააფასებს, ვისაც უბედურება გამოუცდია; თავისუფლებისაკენ ის მიისწრაფის, ვისაც მონობისა და ძალმომრეობის ბრჭყალები უგემია; თანასწორობას ის იცავს, ვისაც შიმშილი განუცდია; ადამიანი მხოლოთ მას უყვარს, ვისაც უბედურება, შევიწროება, ძალმომრეობა და გაჭირვება გამოუვლია და შეუსწავლია. მიუხედავათ იმისა რომ ჩვენი დრო ისეთი დროა, როდესაც ადამიანის ყოველგვარ სისაძაგლეს ერთათ მოუყრია თავი ადამიანისავე დასატანჯავათ, შენ მაინც ბედნიერი ხარ, ჩემო ნორჩო მკითხველო: შენს თვალწინ ებრძვის ერთმანერთს კეთილი და ბოროტი, სიმდიდრე და სიღარიბე, ძალმომრეობა და თავისუფლება, სიბნელე და სინათლე; ამ ბრძოლაში იტანჯება ბევრი, ბევრი იღუპება; შენ ხედავ ყოველივე ამას, უკვირდები ცხოვრებას და არ შეგიძლია, არ შეიყვარო დატანჯული ადამიანი; სიყვარული ტანჯული ადამიანისადმი კი დიდი ბედნიერებაა. რა ხდება ჩვენს გარშემო? მდიდარი სახლის წინ, რომელიც რამოდენიმე მილიონი ღირს, მათხოვარი ხელს გიწვდის და გემუდარება: შიმშილით ვკვდები და რამოდენიმე გროში მომეცი, რომ პური ვიყიდოვო; მდიდარი მაღაზიის წინ, საცა აუარებელი ტანთსაცმელი აწყვია, ფეხშიშველსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძონძებში გახვეულსა ჰხედავ; შიმშილით შეწუხებულნი, ქურ-
დობას, ავაზაკობას სჩადიან; ერთმანერთს ხოცავენ, აღრჩო-
ბენ, ხვრეტავენ, თითქოს სიცოცხლე ისეც მოკლე არ იყოს
და დედამიწა კი იმდენათ დიდია, რომ ყველას დატევა და რჩე-
ნა არ შეეძლოს. ერთის სიტყვით უბედური ადამიანი ბედნი-
ერებისათვის იბრძვის. ხშირათ ამ ბრძოლაში იღუპება, მაგრამ
ყველგან ასე არ არის. არის ისეთი ქვეყნები, საცა სიზმარში-
აც არავის არ ეზმანება, არც ერთი ის სისაძაგლე, რომელიც
ჩვენ თვალისწინ ხდება და საცა ადამიანი შედარებით ბედ-
ნიერია. ამისთანა ქვეყნების შესწავლა ამხნევებს ყველას და
ცხადათ ეუბნება: იბრძოლეთ და თქვენც მოიპოვებთ ბედნიე-
რებასო.

ამგვარ ბედნიერ ქვეყნებში საუკეთესო ალაგი უჭი-
რავს ახალ ზელანდიას. იქნება შენ არც კი იცი, სად არის
ახალი ზელანდია? გააყოლე თვალი რუქას ავსტრალიის სამ-
ხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ზღვაში მიადგები კუნძულების
კრებულს; აი ამ კუნძულებს ერთათ ეწოდება ახალი ზელან-
დია. ბუნებით ეს ქვეყანა ჩვენს სამშობლოს წააგავს ცოტა-
თი; იქაც მთიანი ადგილებია, ზოგან ტიტველი, ზოგან ხე-
ტყით შემოსილი; მთებსა და მთებს შუა ნახავ ჩქარ მდინარე-
ებს, რომლების ნაპირებიც უერთდება საუცხოვო ჭალებს; იქ
ნახავ ჩვენებურ ხეხილს, მცენარეულობას, ვენახს, ხოლო ჰა-
ვა იქ უფრო თბილია, ვიდრე ჩვენში. სიდიდით კი ახალი ზე-
ლანდია რამოდენიმე საქართველოს უდრის. ამ ქვეყანაში ხალ-
ხი ცხოვრობს ვაჭრობა-მრეწველობით და მეურნეობით. ამი-
ტომ იქ ნახავთ საუცხოვოთ მოწყობილ კოხტა ქალაქებს რკი-
ნის გზებით, ელექტრონის ტრამვაით, ქარხანა-ფაბრიკებითა
და ლამაზ სოფლებს, ბაღებითა და ყანებით გარშემორტ-
ყმულს. სოფლებში ყველგან საუცხოვო გზებია ქვით მოკირ-
წყლული და მდინარეებზე ქვისა და რკინის ხიდები; იმისთანა
გზებს, საცა შუაზაფხულშიაც იმხელა ტალახია, რომ კამეჩებს
უჭირთ ურმის გათრევა და იმგვარი ბოგირები, საცა ქვეითი
კაცის გასვლაც საშიშია, რასაც ჩვენში ყოველ ნაბიჯზე ნა-
ხავ ჩვენი განათლებული მოხელეების წყალობით, ახალ ზელან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაში ვერსად ვერ წააწყდებით: იქ სოფლებში ყველგან იმ-
გვარი გზებია, როგორც ქალაქებში; სოფლები ქალაქებთან
ელექტრონის ტრამვაითა და რკინის გზებით არიან შეერთე-
ბული და ბევრი სოფელი ღამე ელექტრონით არის განათე-
ბული. მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ინგლისელია; მათ
გარდა არიან გერმანელები, იტალიელები, ავსტრიელები, შვეი-
ცარიელები და სხვა. ადგილობრივ მცხოვრებლებს შეადგენენ
მაორისები. ევროპიელთა მოსვლამდე მაორისები თითქმის ვე-
ლურათ ცხოვრობდენ, მაგრამ ევროპიელთა შემოსვლამ ისი-
ნიც გამოაფხიზლა და გაანათლა. ყველა მცხოვრებლების სა-
ერთო რიცხვი ერთ მილიონამდეა. მიწის უმეტესი ნაწილი
მაორისებს ეკუთვნის, როგორც მკვიდრ მცხოვრებლებს; ევ-
როპიელებმა ამათგან იყიდეს მიწა, ზოგს კი იჯარითა აქვს
აღებული.

ახალ ზელანდიაში მათხოვარს, მშიერსა და გაჭირვებულს
ვერა ნახავთ. ქონებრივი განსხვავება აქაც არსებობს, ზოგს
მეტი აქვს, ზოგს ნაკლები, ხოლო ისეთ ოჯახს, ისეთ პირს
ვერ ნახავ, რომ რიგიანი ტანსაცმელი არა ჰქონდეს. კარგი,
ნოყიერი და საკმაო საჭმელი, საღი სადგომი და რაიმე მუდ-
მივი საქმე: ზოგი ვაჭრობით რჩება, ზოგი მასწავლებლობით,
ზოგი ექიმობით, ზოგი მიწას მუშაობს, ზოგი ქარხნის მუშაა.
იქაური მიწის მუშა ჩვენებურ გლეხს არასფერში არ შეედ-
რება. ჩვენი გლეხი რიგიან სადგომს მოკლებულია, რიგიანი
ტანისამოსი, განათლება, ცოდნა და საზრდო არა აქვს. იქა-
ურ სოფელში კი ყველას კარგი, თბილი, ნათელი და სუფთა
სახლი უდგია, სამუშაო ტანისამოსი სხვა აქვს და საუქმო
სხვა. საზრდო მუდამ ნოყიერი და ბლომათა აქვს, ხორცს არ
გამოილევს, მეურნეობა შესწავლილი აქვს და მიწას მეცნიე-
რულათ ამუშავებს. იქაური ქარხნის მუშაც გაცილებით უკეთ
ცხოვრობს, ვიდრე ჩვენებური; ქირას ბევრით მეტს იღებს,
ვიდრე ჩვენში, რისგამო ის კარგათ იცვამს, თვალს ადევნებს
მწერლობას, პოლიტიკას, საზოგადო ცხოვრებას და კლუბში,
თეატრებში და სხვა და სხვა გონებრივ გასართობში ხშირათ და-
დის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ამდენი დრო სადა აქვს მუშასო, იკითხავ შენ. ესეც იმაშია, რომ იქაურ მუშას ყველა ამისათვის დრო აქვს და თავის საქმესაც არ აცდენს; რვა საათზე მეტს იქ არც ერთი მუშა არ მუშაობს და ბევრგან სამუშაო დღე უდრის ექვს საათს. ჩვენებური მუშა ექვს საათზე დილით უკვე სამუშაოზე უნდა იყოს, დაბრუნდება სახლში დაქანცული რვა-ცხრა საათზე საღამოთი და მაშინათვე უნდა დაეგდოს და დაიძინოს, რომ მეორე დღეს ადრე ადგომა შესძლოს; ასე უგემურათ და აუტანელ შრომაში იწვის მისი სიცოცხლე. ახალ ზელანდიაში კი მუშა მხოლოდ ათ საათზე იწყებს მუშაობას და ხუთ საათზე თავს ანებებს. უსათუოთ ცოტას აკეთებსო, იფიქრებ შენ. სრულებითაც არა,—იქ მუშა გაცილებით უფრო ხალისიანია, ვიდრე ჩვენში და დამტკიცებულია, რომ ექვსი ან რვა საათის განმავლობაში ის უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ჩვენებური მუშა თოთხმეტი საათის განმავლობაში; ჩვენებური მუშა მუდამ დაქანცული და დაღალული მუშაობს, მას რიგიანათ დასვენება არ ეღირსება და ამიტომ მის ნამუშევარს ხვავი, ბარაქა არა აქვს; ახალი ზელანდიელი მუშა კი ყოველთვის რიგიანათ გამოძინებული და დასვენებული მუშაობს და მისი შრომა უფრო ნაყოფიერია.

კანონით ბევრი მიწის ყიდვა ერთ კაცს აკრძალული აქვს; გადასახადი იქ პროგრესიულია, ე. ი. ყველა იხდის იქ გადასახადს შემოსავლის კვალობაზე; ვისაც ცოტა აქვს შემოსაკალი, ის სრულებით განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან. ამის გამო ყველაზე მეტ გადასახადს იქ მდიდრები იხდიან, ყველაზე ნაკლებს პატარა ქონების პირნი; ჩვენში კი სწორეთ ამის წინააღმდეგი ხდება: მდიდრები სულ ცოტას იხდიან და გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების მთელი სიმძიმე ხალხის ღარიბ ნაწილს აწევს კისერზე. ახალ ზელანდიაში სრული მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თანასწორობაა: აქ ყველას ერთნაირი უფლება აქვს, ყველა მოქალაქეა,—გლეხი, თავადი და აზნაური აქ არ არსებობს, ყველა სწორია; აქ არსებობს სრული ეროვნული და სქესობრივი თანასწორობა. ყველა ეროვნებას ერთი და იგივე უფლება აქვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ გაბატონებული არავინ არ არის და ყველა ერთათ ტკბილათა და მეგობრულათ ცხოვრობს, ეროვნულ სიძულვილსა და მტრობას აქ არავითარი ადგილი არა აქვს; ქალები და მამაკაცები თავისი უფლებებით გათანასწორებული არიან და ყოველი ქალი იმდენათვე იღებს მონაწილეობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც მამაკაცი. სრული თავისუფლებაა აგრეთვე სარწმუნოებისაც. ჩვენში მაგალითათ უპირატესობა ეძლევა მართლმადიდებელთა სარწმუნოებას; მართლმადიდებელთ სხვა სარწმუნოების მიმდევრებთან შედარებით უფლებაც მეტი აქვთ; ახალ ზელანდიაში კი მთავრობა არც ერთ სარწმუნოებას არ აძლევს უპირატესობას; სარწმუნოება იქ სრულებით კერძო საქმეა; როგორც გინდათ, ისე იწამეთ ღმერთი; გნებავთ, სრულებით ნუ იწამებთ,—ეს თქვენი ნებაა და ამ საქმეში მთავრობა სრულებით არ ერევა; ამიტომ იქაურ სასწავლებლებში საღმრთო სჯულს არ ასწავლიან.

სწავლა-განათლება ზელანდიაში ძალიან გავრცელებულია; აქ სოფელს ვერ ნახავთ, რომ სასწავლებელი არ იყოს; პირველ-დაწყებითი სწავლა აქ ყველასათვის სავალდებულოა, პირველ-დაწყებითი სწავლა სრულებით უსასყიდლოა და ამიტომ კანონი აჯარიმებს იმ დედ-მამას, რომლებიც თავის შვილს სასწავლებელში არ შეიყვანენ, რაკი მას შვიდი წელიწადი შეუსრულდება.

რუსეთში ას კაცში წერაკითხვა მარტო ორმოცმა იცის, ამგვარათ რუსეთში უმეტესი ნაწილი ჯერ წერაკითხვის ცოდნასაც კი მოკლებულია და ამიტომ ახალზელანდიასთან შედარებით, საცა ყველა ნასწავლია, რუსეთი ჯერ კიდევ ველური ქვეყანაა და ჩვენი მთავრობის წყალობით ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ამგვარ მდგომარეობაში. თუ რამდენათ პატივსა სცემს ჩვენი მთავრობა სწავლაგანათლებას, იქიდანაც მტკიცდება, რომ სოფლის მასწავლებლები ჯამაგირის სიცოტავის გამო რიგიან საჭმელსა და საცმელს მოკლებული არიან. ახალზელანდიაში კი სოფლის მასწავლებელი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, მისი წლიური ჯამაგირი ხშირათ რამოდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ას თუმანს უდრის; რუსეთში ვინც ცოტას მუშაობს, ის ბევრ ჯამაგირს იღებს, ვინც ბევრს მუშაობს, ის კი მშიერია; ამგვარი ბიუროკრატები ახალზელანდიაში არ არსებობენ; იქ ბევრს ის იღებს, ვინც ბევრსა მუშაობს; შიმშილით კი არავის არა შია. გაზეთები იქ ბევრი გამოდის, წიგნები ბევრი იბეჭდება და ვერ ნახავთ ისეთ მუშას ვერც ქალაქში და ვერც სოფელში, რომ გაზეთს არ იწერდეს და არ კითხულობდეს. მუდმივი ჯარი იქ არ არსებობს; სამხედრო განათლებას სასწავლებლებში იძენენ და ყოველი სრულწლოვანი ვალდებულია იარაღით დაიცვას თავისი ქვეყანა, როდესაც კი ამას საჭიროება მოითხოვს. ამის გამო სამხედრო ხარჯები აქ პატარაა და უდრის ორ მილიონს; პოლიციაზე იხარჯება ორ მილიონ ნახევარი და სწავლა-განათლებაზე კი ექვსი მილიონი; ამგვარათ აქ ყველაზე მეტი იხარჯება განათლებაზე. რუსეთში კი განათლებაზე იხარჯება ყველაზე ნაკლები, პოლიციას ხმარდება ხუთჯერ მეტი და სამხედრო საქმეს ხუთმეტჯერ მეტი, ვიდრე განათლებას! ამიტომაც არის რუსეთი ასე განათლებული და დაწინაურებული ქვეყანა!

ახალზელანდიაში სრული პოლიტიკური თავისუფლებაა; იქ სრული თავისუფლებაა სიტყვის, წერის, კრებების, კავშირების; პიროვნება და ოჯახი ხელშეუხებელია; ვერავის ვერ გაჩხრეკენ და ვერ დააკავებენ ისე, თუ სასამართლომ არ გადაუწყვიტა. სიკვდილით დასჯა იქ არ არსებობს. ყოველი მოხელე და ყოველი მუშა, გინდა კერძო სამსახურში იყოს, გინდა სახელმწიფო სამსახურში, ოცდახუთი წლის მუშაობის შემდეგ საკმაო პენსიას იღებს. არ უნდა დაივიწყოთ ამავე დროს, რომ ამ ოთხმოცი წლის წინეთ ახალი ზელანდია თითქმის ველური ქვეყანა იყო; ევროპიელები ნელა ნელა იკიდებდენ აქ ფეხს, მაგრამ იმათაც ადგილობრივ მაორისებს შორის განუწყვეტელი ჩხუბი და სისხლის ღვრა იყო. ახალ ზელანდიის დღევანდელი მდგომარეობა დამოკიდებულია იმის შინაურ წყობილებაზე, იმის მთავრობაზე. ახალ ზელანდიაში იმგვარი თავისნება და გალაღებული ბიუროკრატია კი არ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობს, როგორიც რუსეთში, არამედ არის დემოკრატიული კონსტიტუცია.

ახალი ზელანდია ემორჩილება ინგლისს; ეს მორჩილება მხოლოთ იმაში გამოიხატება, რომ ინგლისის მთავრობა ნიშნავს ხოლმე ახალ ზელანდიაში გუბერნატორს, მაგრამ ეს გუბერნატორი სრულებით სხვა უფლებით არის აღჭურვილი, ვიდრე რუსეთში; ის ადგილობრივ კონსტიტუციას ემორჩილება, იმის ყოველ მუხლს ასრულებს, ადგილობრივ ვითარებას ატყობინებს ინგლისის მთავრობას და, თუ ღმერთი გაუწყრა და თავის უფლებებს გადაამეტა, ახალი ზელანდიის მთავრობა მაშინათვე მოითხოვს იმის გადაყენებას და გადააყენებს კიდეც; ასე იცავენ იქ კანონს; რუსეთში კი მთავრობა იმ გუბერნატორს და მოხელეს აწინაურებს, რომელიც უფრო არღვევს კანონს, ამეტებს თავის უფლებებს და ამით მცხოვრებლებს აწუხებს, ავიწროებს და სჩაგრავს. თუ გუბერნატორმა რაიმე უკანონობა, ან დანაშაულობა ჩაიდინა ახალ-ზელანდიაში, კანონი ისე ასამართლებს მას და სჯის, როგორც ყოველ მოქალაქეს. უმთავრესი უფლება ეკუთვნის პარლამენტს, ის ადგენს კანონებს, აუქმებს ძველს და თვალყურს ადევნებს კანონების ასრულებას. პარლამენტს შეადგენს ორი პალატა—ზედა და ქვედა. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ქვედა პალატას, რომელსაც შეადგენენ ხალხის წარმომადგენლები—ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები; ზედა პალატა კი ქვედას მორჩილია და აი რანაირად. ზედა პალატის წევრებს ნიშნავს გუბერნატორი მინისტრების წარდგენით; მინისტრები კი პასუხის მგებელნი არიან ქვედა პალატის წინაშე. ამიტომ მინისტრები იძულებული არიან, ისეთი პირები წარუდგინონ გუბერნატორს ზედა პალატაში დასამტკიცებლათ, რომლებიც ქვედა პალატას ურჩობასა და წინააღმდეგობას არ გაუწევენ. წარმოვიდგინოთ, რომ ქვედა პალატამ შეიმუშავა რაიმე კანონი და ზედა პალატამ არ დაამტკიცა. მაშინ ქვედა პალატა დაითხოვს მინისტრებს, აირჩევს თავის თანამოაზრეებს და ეს მინისტრებიც შესაფერ პირებს გამოძებნიან ზედა პალატისათვის. აქედან ცხადია, რომ რაკი მინისტრები ქვედა პალატას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემორჩილებიან, ზედა პალატის წევრები კი მინისტრებისა და
დგენით ინიშნებიან გუბერნატორისაგან, თავი და თავი მნი-
შვნელობა ახალ ზელანდიაში ქვედა პალატასა აქვს და ხალხის
მიერ არჩეულ დეპუტატების ხელში მთელი ქვეყნის მართვა-
გამგეობაა. რომ გავიგოთ, თვით ხალხი რა მონაწილეობას
იღებს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, უნდა ვიცო-
დეთ, როგორ წესზეა აგებული დეპუტატების არჩევნები. დე-
პუტატებს ქვედა პალატაში ირჩევს ხალხი საყოველთაო, თა-
ნასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის მიცემით. არჩევნების
უფლება საყოველთაოა, რადგანაც ყოველ პირს, რომელიც
წელიწადზე ნაკლები არა ცხოვრობს ახალ ზელანდიაში, უფ-
ლება აქვს როგორც ხმის მიცემისა, ისე კენჭის ყრისა, თუკი
სრულ წლოვანია. ქალებსაც იგივე საარჩევნო უფლებები აქვთ,
რაც კაცებს. აქ არ არსებობს საარჩევნო ცენზი, როგორც
ევროპაში, საცა მდიდრებს მეტი საარჩევნო უფლება აქვთ,
ვიდრე ღარიბებს და ხშირათ ღარიბები სრულებით მოკლებუ-
ლნი არიან ამ უფლებებს; ახალ ზელანდიაში მდიდარი და ღა-
რიბი ერთნაირი საარჩევნო უფლებებით სარგებლობენ. თა-
ნასწორი იქაური არჩევნები იმითია, რომ ყოველ ადამიანს
განურჩევლათ სქესისა, ქონებისა და ეროვნებისა მხოლოთ ერ-
თი ხმა აქვს და ამ ერთი ხმით არჩევნების დროს ის სარგებ-
ლობს მხოლოთ ერთხელ. ფარული იმითია იქაური არჩევნე-
ბი, რომ ყოველი ადამიანი იმას აძლევს ხმას, ვინც თვითონ
იმას სურს და ამავე დროს არჩევნები ისეა მოწყობილი, რომ
ვერავინ ვერ გაიგებს, ვინვის აძლევს თავის ხმას და ვინ ვის
ირჩევს. ეს იმიტომ არის შემოღებული, რომ არჩევნები სწარ-
მოებდეს თავისუფლათ და ერთმა მეორეს ძალა არ დაატანოს:
ამას მიეცი ხმა და არა იმასო. არჩევნები რომ ფარული არ
იყოს, შესაძლებელია, მექარხნემ თავის მუშებს ძალა დაატა-
ნოს: თუ ამა და ამ პირს არ მიეცით ხმა, ქარხნიდან დაგით-
ხოვთო; ასევე შესაძლებელია მოექცეს ვინმე თავის მოსამსა-
ხურეებს და სხვ. ყველა ამის თავიდან ასაცდენათ არჩევნებია
ფარული: ყოველი ამომრჩეველი თავის კანდიდატის სახელსა
და გვარს დასწერს, კონვერტში დაბეჭდავს და დაკლიტულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუთში აგდებს, ასე რომ ვინ ვის აძლევს ხმას, ვერავინ ვერ გებულობს. სხვაგან ხალხი პირდაპირ კი არ ირჩევს დეპუტატებს; ხალხი ირჩევს ამომრჩევლებს, ამომრჩევლები შეიკრიბებიან და ირჩევენ დეპუტატებს; ამას ჰქვიან არაპირდაპირი არჩევანი. ახალზელანდიაში ხალხი პირდაპირ დეპუტატებს ირჩევს და ამიტომ ჰქვიან იქაურ არჩევნებს პირდაპირი არჩევნები. დეპუტატები იცვლებიან ყოველ სამ წელიწადში; დეპუტატობა შეუძლია ყოველ სრულ წლოვანს, რომელიც კი სახელმწიფო სამსახურში არ არის; ხალხი იქ ფიქრობს საფუძვლიანათ: თუ მოხელე ავირჩიეთ დეპუტატათ, მას მთავრობის ხათრი უფრო ექნებაო, და ამიტომ ირჩევენ მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებელ და თავისუფალ პირებს; როგორც ქვედა პალატაში, ისე ზედაში დეპუტატებათ მუშებიც არიან.

პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს, ანუ ბიუდჟეტს, აწესრიგებს გადასახადს, ადგენს ახალ კანონებს, აუქმებს უვარგისს და თვალყურს ადევნებს მინისტრებს და სხვა მოხელეებს; კანონის წინაშე იქ მინისტრი და მუშა სწორნი არიან; ყოველ მოხელეს, ყოველ მინისტრს კანონის დარღვევისათვის პასუხის გებაში აძლევენ და ასამართლებენ ისე, როგორც ყველა მოქალაქეს. მინისტრებათ ირჩევენ დეპუტატებს, ისევე დეპუტატები მინისტრებათ არიან მანამდე, სანამ პარლამენტს უმეტესობა ნდობას უცხადებს. ხოლო თუ პარლამენტის უმრავლესობამ მინისტრებს მათი რაიმე მოქმედება დაუწუნა, ისინი მაშინათვე თავს ანებებენ მინისტროობას და დეპუტატები ირჩევენ ახლებს მათს ნაცვლათ. მინისტრების გამგებლობის ქვეშ არის ზელანდიაში ყოველისფერი, გარდა სასამართლოებისა და საერობო და სამოქალაქო თვითმართველობისა. თვით-მართველობა თვითონ ხალხის ხელშია, ხალხი განაგებს პირდაპირ სასოფლო და სამოქალაქო საქმეებს, სასამართლოებიც დამოუკიდებელი არიან; ამის გამო იქაური სამართალი ნამდვილი სამართალია და ჩვენებურს არა ჰგავს. რუსეთში სასამართლო ემორჩილება პოლიციას, გუბერნატორს, მინისტრს და სხვ. ხშირათ მოსამართლე იძულებულია, ისე გადაწყვიტოს სამართალი, როგორც მთავრობა უბრძანებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა სამსახურიდან გამოაგდებენ; ახალზელანდიაში კი მოსამართლე დამოუკიდებელია, მას მინისტრი ვერაფერს უბრძანებს, ის მინისტრს არ ემორჩილება და ამიტომ ყოველ საქმეს სწყვეტს ისე, როგორც სვინიდისი და სამართალი ეუბნება. თუ მოსამართლემ უკანონობა დაიწყო, იმას ასამართლებს მხოლოთ ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი სასამართლო. ამგვარათ იქ სამართალი ხალხის სვინიდისს, ხალხის ნებას ემორჩილება და არა ჟანდარმების, გუბერნატორის, ან მინისტრის ნებას, როგორც ეს ჩვენშია.

ხელმწიფე, ან პრეზიდენტი სადღა არიანო, იკითხავ შენ. საცა არ გინდა, ყველგან არიან, მხოლოთ ახალზელანდიაში კი არა,—იქ არც ერთი უყვართ და არც მეორე. მაშ უფროსი არა ჰყავთო, გიკვირს შენ? დიახ, ახალ ზელანდიაში უფროსი ხალხს არა ჰყავს. შენ დაინახე, რომ ხალხი ირჩევს თავის დეპუტატებს, დეპუტატები ნიშნავენ მინისტრებს; შენ გაიგე, რომ ხალხის ხელშია თვითმართველობა, სასამართლო; ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები განაგებენ მთელ საქმეს; თუ ისინი უვარგისი გამოდგენ, ხალხი სხვებს ირჩევს; აქედან ცხადია, რომ ახალ ზელანდიაში ხალხი თვითონ არის უფროსიც, ბატონიც, მეფეც, პრეზიდენტიც, თვითმპყრობელიც და მბრძანებელიც,—სხვა ბატონი და მბრძანებელი მას არა ჰყავს და არც უნდა. სხვაგან ხალხი მთავრობის მონა-მორჩილია; ახალზელანდიაში კი მთავრობა—პარლამენტი და მინისტრები—ხალხის მორჩილია; სხვაგან ხშირათ ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, რომელიც ხალხს არა თუ არ უნდა,—ჭირივით ეჯავრება; ახალზელანდიაში კი ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორიც თვითონ ხალხს უნდა, რომელიც თვითონ ხალხს ემსახურება; ეს იმიტომ ხდება, რომ იქ ხალხი თვითონ ირჩევს თავის მთავრობას და დიდხანს არ გააჩერებს იმისთანა მთავრობას, რომელიც ხალხის წინააღმდეგ წავა.

ამიტომ ახალზელანდიაში მთავრობას, ათასი რომ უნდოდეს, მაინც არ შეუძლია ხალხის წინააღმდეგ წასვლა, ხალხი მას მაშინათვე გამოცვლის,—მთავრობა იქ ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს მხოლოთ ხალხის ნებას და ხალხის სურვილს. ამ ოთხმოცი წლის წინეთ ახალიზელანდია თითქმის ველური ქვეყანა იყო; ევროპიელები გადმოსახლდნენ აქ. დააარსეს დემოკრატიული რესპუბლიკა, გაანათლეს და ააყვავეს ეს კუთხე და ახლა იქ პარლამენტში განაგებენ ქვეყნის საქმეს სხვებთან ერთათ განათლებული მაორისები, რომელთა სულ ახლობელი წინაპრები ამ ოთხმოცი წლის წინეთ ველურათ ცხოვრობდენ; ხალხი იქ ბედნიერია, მეცნიერების ყოველი ახალი გამოგონებით სარგებლობს. ის თვითონ არის თავისი ბატონ-პატრონი, ცხოვრობს ისე, როგორც თვითონ მას სურს და ყოველივე ეს შექმნა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

ივ. გომართელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ უფრო მართალია?

ამაზათ მორთულ ოთახში, საამუშავო მაგიდასთან, მწვანე აბაჟურიან ლამპის სინათლეზე, მაგიდაზე ხელებ ჩამოდებული და თავ-ჩაღუნული მეცადინაობს ათი წლის გიმნაზიელი: გაკვეთილებს ამზადებს. ამავე ოთახში ბოლთას სცემს უფროსი გიმნაზიელი, რომელიც ხშირად გაჩერდება ხოლმე და ჩ ხედავს მაგიდასთან მჯდომ ყმაწვილს ოვეულში. ეტყობა რეპეტიტორია ე. ი. გაკვეთილე ბის ამხსნელი და მშველელი სწავლაში.

ოთახში ერული სიჩუმეა, რომელსაც არღვევს მხოლოდ უფროსი გიმნაზიელის ფეხის ხმა და უმცროსის კალმის წრიპინი.

— ეჰ, შე კაცო, ამდენხანს როგორ მოუნდი ასეთ ადვილ ამოცანას! აგერ ნახევარი საათია სწერ და ბოლო ველარ დავინახე. ნუ თუ ვერ გაიგე, რაც აგიხსენი? ბოლოს უთხრა უმცროსს მოთმინებიდან გამოსულმა უფროსმა გიმნაზიელმა.

— აი, ეხლავ, ეხლავე მოვრჩები ამასაც. თქვენი დახმარება აღარ მჭირდება, ყველაფერი კარგად გავიგე. მხოლოდ დიდი რიცხვი არის გასაყოფი და შეცდომა შემეპარა. თქვენ წადით, თუ არ გცალიათ და მე ამას თქვენ დაუხმარებლათაც გამოვიყვან. უთხრა, უმცროსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, სანდრო, ჯერ კიდევ დამრჩა საკითხავათ ერთი გაკვეთილი—საღმრთო სჯული. მე მოვიცდი, გაათავე ამოცანის გამოყვანა და მერმეთ ბარემ იმასაც მოვრჩეთ.

— ის გაკვეთილი მე ძალიან გარგად ვიცი. თუ არ გცალიათ, წადით. უთხრა უმცროსმა.

— არა, მე არ წავალ, სანამ ყველა გაკვეთილებს არ გკითხავ. ტყუულათ კი არ ვიღებ მაშაშენისაგან ფულებს; უთუოდ უნდა დავრწმუნდე, რომ ყველა გაკვეთილები იცი ხვალისათვის.

ისევ სიჩუმეა. ისევ უმცროსი სწერს და უფროსი კი ოთახში დადის. ბოლოს უმცროსმა დააგდო კალამი მაგიდაზე და მოუბრუნდა უფროსს.

უფროსი ყმაწვილი გაჩერდა სანდროს წინ, რამდენსამე წამს გაჩუმებული უყურებდა მას და მერმეთ აღელვებული ხმით უთხრა.

— ქრისტე მოვიდა ქვეყნად დაჩაგრულებისა და ღარიბებიათვის. ის ხედავდა ჩაგრულების ტანჯულ ცხოვრებას და მჩაგვრელების და მდიდრების ფუფუნებას. ეს უთანასწორობა და უსამართლობა მას სტანჯავდა; სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ და რა გზით ეშველა მათთვის. ის მუდამ ქადაგებდა ხალხში სიყვარულზე, ერთობაზე და ძმობაზე. მას მრავალ თანამოაზრე გამოუჩნდა. მჩაგვრელებს ეს არ მოსწონდათ და აუმტერდნენ. ქვეყნათ მოსული სიმართლის, სიყვარულის და ერთობის დასამყარებლათ ქრისტე ხალხის და ღვთის მტრად გამოაცხადეს. ხალხი დააჯერეს, ბოლოს აწამეს იგი, დასტანჯეს და მოჰკლეს. ის მოჰკლეს, მაგრამ მისი მოძღვრება, მისი მცნება არ მომკვდარა. ქრისტე აღზდგა და მისს სახელს ახლაც მრავალი მილიონი ხ ლხი სცემს თაყვანს.

სანდრო სკამზე იჯდა; ზურგი მაგიდასკენ მიექცია, ხელები სკამის ზურგზე ჩამოედვა და გაფართოვებული თვალებით ვანოს ყურს უგდებდა.

ვანო გაჩუმდა და თავის საკუთარ ფიქრებში გართული, დიდხან იდგა ჩაფიქრებული, თავ-ჩაღუნული ერთ ალაგას. ბო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს უნდა წაიკითხოთ მეთორმეტე სტრიქონის შემდეგ.

— ვანო, მე ამოცანების გაკეთება, თქვენც იცით, არ
ძნელება, მაგრამ დღეს კი ამაზე ფიქრი სულ ვერ მოვახერხე.
ამ ამოცანაზე მინდა ვიფიქრო, ეს რიცხვები გამოვიყვანო
ა თავში კი სულ მიტრიალებს, რაც დღეს იესო ქრისტე-
წავიკითხე.... რისთვის დასაჯეს ქრისტე? რა დანაშაულობა
ონდა ისეთი, რომ ისე საშინლად აწამეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს თავი მაღლა ასწია, მიეახლოვდა სანდროს, ხელი მხარზე დაადვა და შეგონების კილოთი უთხრა:

— იცოდე, სანდრო, ეს იყო წარმოუდგენელი უსამართლობა და, როცა გაიზრდები, იმასაც შეიტყობ, რომ ბევრი ასეთი უმანკო მსხვერპლი შესწირა ხალხის სამსახურმა, რომ ბევრი ამისთანავე უსამართლობა ხდება ქვეყანაზე დღესაც.

სანდრო ისევ ისე გაფართოვებული თვალებით შეჩერებოდა ვანოს და ეტყობოდა, ბევრი რამ ვერ შეეგნო ჯერ მის ბავშურ ტვინს.

ამ დროს წინა ოთახში ხმაურობა მოისმა და ოთახში შემოვიდა ჩქარი ნაბიჯით სანდროს მამა, პოლიციის ბოქაული, გაჯავრებული და გაოფლიანებულის სახით. ქმრის ფეხის ხმის გაგონებაზე, მეორე ოთახიდან სანდროს დედაც გამოვიდა და რომ შეხედა ქმარს ასეთ მდგომარეობაში შეშინებულის ხმით შეეკითხა:

— რა დაგმართნია, კაცო, რა მოხდა?

— რა მოხდა? ღრიალით შეჰყვირა ქმარმა: რა მოხდა და ჩემ ნაწილში კიდევ დაეხეტებიან ის ვიღაცა მაწანწალები, ერთობას და ძმობას რომ ქადაგებენ! მე იმათ ვა ჩვენებ ერთობას და ძმობას. როცა მათ თოკზე ჩამოვკიდებთ თხასავით! მათი მიზეზით ადგილი უნდა დავკარგო და შიმშილით უნდა ამომიწყდეს ცოლ შვილი!

ამ სიტყვების გაგონებაზე ვანო საჩქაროთ ოთახიდან გავიდა. სანდრო ფეხზე წამოხტა, მამას გაფითრებულის სახით მოუახლოვდა და აღელვებულის ხმით შესძახა:

— მამა, ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ? იესო ქრისტეც ხომ მისთვის აცვეს ჯვარს, რომ ძმობას და ერთობას ქადაგებდა? ვის დაუჯერო, მამა, შენ თუ ქრისტეს?..

ფრ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უგულო ბავში.

მოთხრობა მონგომერისა*)

ვირჟინი გამოაღვიძა გრილმა ნიავმა, რომელიც გაღებულ კარებში შემოჰქიქინებდა. ის წამოჯდა ლოგინზე და მიიხედ-მოიხედა.

პირველი საგნები, რომლებმაც მისი ყურადღება მიიქცეს, იყვენ ორი პატარა საღამური პერანგი და შუა ოთახში დიდი სურა წყალი. ის წამოდგა, დარაბები გააღო და მხოლოთ მაშინ შენიშნა, რომ არც ერთი ბავში ოთახში აღარ იყო.

ძნელი წარმოსადგენია ის შიში და ის მწუხარება, რომელშიაც ვირჟინი ჩააგდო ორი ცარიელი და მინგრეულ-მონგრეული ლოგინის დანახვამ!—Grand Dieu!—წამოიძახა მან, შეიხედა ლოგინებ ქვეშ, ფარდებს უკან, შკაფში, ბავშები სადმე ხომ არ დამალულანო. მაგრამ ბავშები არსად ჩანდენ. მალე ვირჟინიმ შენიშნა, რომ არც ტანისამოსი იყო ოთახში, არც ერთი ბავშის და კიდევ უფრო შეშინდა, გამოვარდა კარში გადადგა კიბეზე და დაუწყო ძახილი: ჯორჯ! ვილლი! ვილლი! მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა.

რადგანაც ტანთ არ ეცვა, ძირს ჩასვლა არ შეეძლო, ამიტომ ხარის რაწკუნი დაიწყო. მოვარდა გოგოჯენი. გამოდგა, რომ არც მას ენახა ბავშები; გაიგო თუ არა, დაკარგულანო, მაშინვე დაირბინა მთელი სახლი, მაგრამ ვერავინ იპოვა.

---

*) იხილე ჯეჯილი № III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ვირჟინიმ ძირს, იატაკზე, ვილლის თბილი ფუ-ფაიკა დაინახა და სასოწარკვეთილებით ხელი ხელს შემოჰკრა.

— უთუოთ სადმე წავიდენ!—მოახსენა ჯენმა.—ბიბლიო-თეკის და გარეთ გასავალი კარი ორივე გაღებულია.

— შეუძლებელია! შეუძლებელი!—წამოიძახა მწუხარეთ ვირჟინიმ.—წაღები არ ჩაუცვამთ. თხელი ფეხსაცმელებით ხომ ვერ წავიდოდენ გარეთ სარბენათ?

— წასულან კი!—ისევ გაიმეორა გოგომ.—მთელი სახ-ლი დავათვალიერე, ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული, არ-სად არ არიან. ნეტავი ქუდები თუ მაინც წაიღეს?

ვირჟინი მივარდა ქუდის კოლოფს, კოლოფი ცარიელი დაუხვდა.

— ღმერთო ჩემო, ვილლი უსათუოთ გაცივდება!—შე-მოიკრა მან თავში ხელი.—ხველებას დააწყებინებს, ყელი ასტ-კივდება! შეხედეთ, ჯენ, ფუფაიკაც კი არ ჩაუცვამს! ანთება მოუვა! მოკვდება!

ვირჟინიმ საჩქაროთ ჩაიცვა, წამოავლო თავის შლიაპას ხელი და გარეთ გავარდა.

— აგერ არიან, აგერ, ველზე!—დაიძახა ამ დროს ჯენ-მა, რომელიც ფანჯარას მიდგომოდა.

— ველზე! სველ ბალახზე სხედან!—ძლივს წამოიყრანტა-ლა ვირჟინიმ, როდესაც შორს, ხის ძირში, ორი პატარა არ-სება დაინახა.—მოდით აქ! დაბრუნდით ახლავე!—დაიყვირა მან, თითქო ბავშებს შეეძლოთ იმ სიშორიდან მისი გაგონება; მერე წამოიგდო შალი მხრებზე და დაეშვა კიბეზე.

ბავშები სახლში ბრუნდებოდენ, როცა ვირჟინი მათ შუა გზაზე დახვდა. ვილლი უფროს ძმას ხელში ჩაჰფრენოდა და ფეხებს ძლივს მოადგამდა, ეტყობოდა, ძალიან დაღალული-ყო, ჯორჯს კი სახეზე თავისი ბედის და თავისი თავის სრუ-ლი კმაყოფილება ეხატებოდა და ის დიდ ყურადღებას არ აქ-ცევდა არც ძმის დაქანცულობას, არც ვირჟინის გაცხარებას.

— შეხედეთ ერთი!—წამოიყვირა ვირჟინიმ და ჯორჯის კალათს ხელი სტაცა, მაგრამ ამ დროს შენიშნა რა სველი ფე-ხები ჰქონდა ვილლის, როგორ აწითლებოდა მას ლოყები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ გადაავიწყდა ყველა ის საყვედურები, რომლითაც ჯორჯს უნდა მივარდნოდა. მან დასტაცა ხელი ვილლის, ჩაიკრა გულში და გაეშურა სახლისკენ.

ჯორჯი სირბილით გაჰყვა გვერდში.

ვირჟინიმ ვილლი ოთახში შეიყვანა და მაშინვე ტანთ გახადა. სასაცილო სანახავი იყო ვილლი, როცა ბლუზა გახადეს. ყველა ზორტები ერთ დიდ ნასკვათ ჰქონდა გამოკრული, ფოლაქებს ისეთ საფოლაქეებში ამოეყოთ თავი, სადაც უწინ თავის დღეში არ ყოფილიყვენ, დუგმები ისეთ დუგმებს შეხვედროდენ და გადაბმოდენ, რომლებიც უწინ არც კი ენახათ.

სანამდის ხდიდენ ტანისამოსს, ვილლი სულ ამთქნარებდა. ორჯელ-სამჯელ კიდეც დააცხინკვა და ამან ხომ სულ გადარია ვირჟინი.

— ღმერთო ჩემ,ო რა ბავშები არიან!—უნებლიეთ წამოიძახა მან.

— ვილლის ნუ გაუწყრებით!—გამოექომაგა პატარა ძმას ჯორჯი, რომელიც ოთახის მეორე კუთხეში ჯენი პირს ბანდა.—მაგას არ უნდოდა წასვლა. მე წავათრიე.

ცოტა ხანს იქით ორივე პატარა ბოროტ-მომქმედი, სუფთათ ჩაცმული, დაბანილი და დავარცხნილები, მაგიდას უჯდენ და გემრიელათ საუზმობდენ. დასასჯელათ ვირჟინიმ მათ საუზმის დროს ინგლისური ლაპარაკი აუკრძალა და სულ ფრანგულათ ალაპარაკა.

ცუდათ გათავდა ასე კარგათ და მხიარულათ დაწყებული დღე! ნასაუზმევს დაღალულ-დაქანცული ვილლი დასაძინებლათ დაწვა, ჯორჯი კი იქვე დასვეს და განძრევის ნებაც არ მისცეს, ძმა არ გააღვიძოო. მთელი დღე ვირჟინის არც ერთი ბავში ერთი წუთითაც არ მოუშორებია, ნასადილევს ყველამ ერთათ ცოტა ისეირნეს და საღამოს ადრე დაბრუნდენ სახლში.

სახლში დაბრუნდენ თუ არა, ვილლის ხველა აუტყდა. ვირჟინის ისეც საშინლათ ეშინოდა ხოლმე, როცა ვილლის მამას იქ არ ყოფნაში რამე მოუვიდოდა, ახლა ხომ სულ გადირია, მაშინვე ექიმზე გაგზავნა. ჯორჯი ძალიან შეაწუხა პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარა ძმის ავათმყოფობამ, მით უფრო რომ ვირეინმ ეს ხრა, ეს სულ შენი ბრალიაო; რამდენიმე ხნის განმავლობაში ის სრულ სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ როცა ექიმის კაბრიოლეტის ხრიგინი გაიგონა, ყველაფერი გადაავიწყდა, ჩაირბინა კიბეზე და ისარივით გაჰქანდა ჭიშკრისაკენ ექიმის მისაგებებლათ.

— საღამო მშვიდობისა, ექიმო! როგორ ბრძანდებით?— მიესალმა ის.—ოო! ახალი იარაღი გაქვსთ ცხენის! რა ლამაზია! რა კოხტაა!

— ახალი? ჰოო? ახალია!—მიუგო ექიმმა, რომელსაც აქამდის არც კი შეენიშნა, თუ მის ცხენს ახალი იარაღი ჰქონდა.—თქვენ ძმას რა მოუვიდა?

— სულ სოკოების ბრალია!—აუხსნა მან და ახალ აღვირს თვალიერება დაუწყო.—ნეტავი რამდენ ხანს დარჩება ასე ახალი და სუფთა?

— როგორ თუ სოკოების ბრალია!—წამოიძახა ექიმმა. —ნუთუ ისეთი სუსტი და ნაზი ბავში სოკოებით გახეთქეთ? აბა მუცელი სტკივა?

— არა, მგონი გული სტკივა! - უპასუხა ჯორჯმა, რომელიც ამ დროს ცხენს ეალერსებოდა.—რა კარგი ცხენია!

— სოკოებით გახეთქეთ ბავში!

ჯორჯმა მხიარულათ გადიხარხარა.

— მე უმ სოკოებზე გელაპარაკებით!—აუხსნა მან.

— როგორ თუ უმი სოკოები? ვინ აჭამა მერე უმი სოკოები?—მთლათ განცვიფრდა ექიმი.

— მერე ვინ გითხრათ რომ სჭამა?—ისევ გადიხარხარა ჯორჯმა და ცხენს ხელი ჰკრა. ცხენმა იკვინტა.

— ფრთხილათ, პატარა!—წამოიძახა ექიმმა და ბავშს ხელი სტაცა—არ უნდა შეაშინო შავი ბობი, გახელდება.—აბა, ამიხსენი დალაგებით, რა დაემართა შენ ძმას? სოკოებმა გული როგორ აატკივა?

— სოკოებმა კი არ აატკივა!—მოუთმენლათ დაიწყო ჯორჯმა, რომელსაც საშინლათ აკვირვებდა ექიმის გაუგებრობა.—სულ ფუფაიკის ბრალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა გაისმა და ამან ისევ მთლათ შეიპყრო ჯორჯის ყურადღება.

— შეხედეთ! შავი ბობი მიაჭენებს! —და ბავში გამოუსხლტა ექიმს ხელიდან და გამოუდგა ცხენს.—არ ვიცი ფუფაიკის ბრალი იყო, არ ვიცი ფეხსაცმელების.—შორიდან მოაძახა მან.— ძალიან გვეჩქარებოდა, იმიტომ მოხდა ყველა ეს!

ექიმი დარწმუნდა, ამისაგან ვერას გავიგებო და ავიდა ზევით, სადაც ვირჟინიმ დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი. მან დაათვალიერა ავათმყოფი ბავში, დაამშვიდა ვირჟინი, უთხრა, საშიში არა არისრაო, მხოლოთ ურჩია, ორ-სამ დღეს ოთახიდან ნუ გამოუშვებთო.

წასვლის დროს ექიმმა ჯორჯი თავის კაბრიოლეტში ნახა. ჯორჯს ხელში აღვირი ეკავა და თითონ ატარებდა შავ ბობს წინ და უკან ეზოში, ბიჭი კი შორი-ახლოს დაჰყვებოდა.

ელ. წერეთელი.

(გაგრძელება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ზრდიან ფრინველები

თავის ბარტყებს.

(თარგმანი)

ერთ პატარა ტყეში ძლიერ საყურადღებო რამ ვნახეთ. ამ ტყეში იყო რამოდენიმე ბულბულის ოჯახი.

ბულბულები დაფრინავდენ აქეთ-იქით; ჭიკჭიკობდენ; მათი ლამაზი ჭიკჭიკი შორს გაისმოდა ტყეში. უეცრად, ერთ მაღალ ხიდან მოისმა სტვენა, რომელშიაც ბრძანება გამოიხატებოდა. ახალგაზრდა ბულბულები გაჩუმდენ. ეს იყო ნიშანი, რომელიც უმფროსმა ბულბულმა მისცა ახალგაზდებს. მან აუწყა, რომ მღერის გაკვეთილი დაიწყო. ჩამოვარდა სიჩუმე. უმფროსმა დაიწყო მღერა. ბარტყები— მოწაფეები ბეჯითად უგდებდენ ყურს. ასეთ სიჩუმეში გავიდა რამოდენიმე წუთი. მოწაფეებში აღმოჩნდა ერთი, უფრო ნიჭიერი, ის სიფრთხილით და რაღაც შიშით აჰყვა მასწავლებელს. ამის მაგალითს სხვანიც მიჰყვენ, და რამოდენიმე ხნის შემდეგ მთელი სკოლა იმეორებდა მასწავლებლის სიმღერას.

როდესაც ძნელი ადგილი შეხვდებოდა მასწავლებელს, ეს უკანასკნელი მღეროდა უფრო ნელა და გარკვევით. ხანდისხან რამოდენჯერმე გაიმეორებდა ერთ და იგივე მუხლს.

ასე სწავლობდენ ბულბულები ყოველ დღე. ეს იმ დროს იყო, როდესაც ახალგაზრდა ბულბულს შესწავლილი აქვს ფრენა, ჭიკჭიკი და მარტო მღერის შესწავლა აკლია.

რამოდენიმე დღის შემდეგ ბულბულები კარგად, უშეცდომოთ იმეორებდენ თავის მასწავლებლის სიმღერას. მერმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი აღარ სჭირდებოდათ. ზოგიერთი მოწაფე, უფროსებს, ეროვნულ ბიბლიოთეკა

ამ რიგათ ასწავლიან ჩიტები სიმღერას თავის ბარტყებს.

ადამიანს ასწავლიან წერა-კითხვას. როცა ის პატარაა ხოხვას, პურის აღებას და პირთან მიტანას, ასწავლიან სიფრთხილეს, არ უნდა მიუახლოვდეს უცნობ ძაღლს ან ცხენს. ბევრს რასმეს აჩვევენ ბავშვსაც, სანამდის ის არ მიეჩვევა ცხოვრებას.

ჩიტები მარტო სიმღერას-კი არ ასწავლიან თავის ბარტყებს! მერცხალი, ბეღურა, არწივი, შავარდენი და სხ. ასწავლიან თავის შვილებს ფრენას. იხვი, ბატი და სხ. წყლის ფრინველები—ცურვას. პირველნიც და მეორენიც ანახვებენ თავის ბარტყებს, როგორ უნდა მონახონ საჭმელი, რა უნდა-უყონ მას.

როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ჭივჭავი.

როდესაც გამოიჩეკება ბარტყი, ის სუსტი და უძალლონოა. აი როგორ გაჩნდა ჭივჭავი: თხუთმეტი დღე იდო კვერცხი ბუდეში. მეთექვსმეტე დღეზე კანი გასქდა ორად, გამოჩნდა ნისკარტი, მერმეთ ორი პატარა, ტიტველი ფრთა, მერმეთ პაწაწინა ფეხები; პატარა ქმნილება ცდილობდა, როგორმე გამოსულიყო თავის საპყრობილ ოდან

ტანი სხვილი და რგვალი ჰქონდა, როგორც ბურთი. დედა მისი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუდეში იჯდა, სიყვარულით და ალერსით შესცქეროდა თავის შვილს. დრო-გამოშვებით ის იყურებოდა გზისაკენ—ახლა მისი თვალების გამომეტყველობა იცვლებოდა—მათში გამოიხატებოდა შიში და ვედრება: „ნუ მოახლოვდებით", ამბობდენ მისი თვალები.

დედას ეშინოდა, არ წაერთვათ მისთვის მისი პატარა შვილი.

ფრთებზე და ტანზე აქა-იქ ჰქონდა ბარტყს ღინღლი, დანარჩენი ტანი ტიტველი იყო. პირველ დღეს დედამ არა აჭამარა, მაგარი საჭმელი მას ავნებდა, მარტო წყალი მიაწოდა. რო გაეთბო თავისი პაწია, დედა ფრთხილათ მიეკვრებოდა მას და ათბობდა თავისი ტანით.

მეორე დღეს საჭმელი მისცეს. თუ ბარტყი ითხოვდა საზრდოს დედა დაუძახებდა მამას. ეს უკანასკნელი სისწრაფით მოფრინდებოდა და მოიტანდა ნისკარტით საჭმელს, გადასცემდა მისდედას, ეს კი ჩაუდებდა ბარტყს პირში.

ბარტყი ჯერ თვალს ვერ ახელდა. მეექვსე დღეზე გამოაჩნდა ბუმბული, მერვეზე გაახილა თვალები. ახლა ეს ბარტყი გონიერი ჩიტია, მას ესმის დედ-მამის ძახილი და პასუხსაც აძლევს ხოლმე. ის ჭიკჭიკობს, თუმცა ხმა ჯერ სუსტი და წრიპინა აქვს.

ახლა მას მოუტანს ხოლმე საჭმელს მამა, დედა კი ისვენებს და დაფრინავს აქეთ-იქით. დედა დაიღალა, როდესაც უვლიდა უსინათლო ბარტყს და ბუდეს არ შორდებოდა. მაგრამ ვერ ისვენებს დედის გული, აცლის, აცლის და მოფრინდება, ალერსით დახედავს თავის შვილს. ეს კი უფრო და უფრო ღონიერდება, მოძრაობას იწყებს ბუდეში, ახლა კი დროა ფრენა ასწავლოს დედ-მამამ.

ა. ფ—ვი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მსოფლიო ისტორია*)

ერნესტ ლავისისა

წიგნი III

ახალი დროება.

თავი I

გამოგონებანი და აღმოჩენანი

97. ახალი დროების დასაწყისი. — 1. მე-XV საუკუნის დამლევს ევროპაში რამდენიმე ახალი გამოგონება შემოიღეს და ძველი გააუკეთესეს; უცნობი ქვეყნები აღმოაჩინეს; გაჩნდა ახალი აზრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მეცნიერებასა და სარწმუნოებაზე, რომელთაც აამოძრავეს ხალხის გონება. ყველა ეს მოასწავებდა იმასა, რომ ისტორიის ახალი ხანა დაიწყო: ახალი დროება.

98. თოფის წამალი. — 2. ევროპაში თოფის წამალი იცნეს მხოლოდ მე-XIV საუკუნეს. 3. ჩინელებმა წინადაც იცოდნენ იმისი გაკეთება, მაგრამ მარტო შუშხუნებისათვის ხმაროდნენ. 4. ევროპელებმა კი თოფის წამალი საომრად გამოიყენეს და ჩამოასხეს ზარბაზნები.

5. პირველი ზარბაზანი ძალიან მძიმე იყო და ცუდად ისროდა. 6. თოფი ჯერ არ იცოდნენ და ზამბულაკი ძალიან მოუმარჯვებელი რამ იყო: იმის გასასროლად მსროლელს პატრუქი ყოველთვის ანთებული უნდა ჰქონოდა.

7. შემდეგში ისწავლეს თვლებიანი და ცხენის საზიდავი

---

*) ძველი და შუა საუკუნეების ისტორია ე. ლავისისა დაბეჭდილი იყო 1903 წ. „ჯეჯილში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნების გაკეთება; კარლო მერვემ, საფრანგეთის მეფემ მაგისთანა 140 ზარბაზანი წაიყოლია, იტალიაზე რომ გაილაშქრა 1500 წელს.

8. ზამბულაკს პატრუქის მაგიერ კაჟი გაუკეთეს და გახდა ჯაზაირი (კაჟიანი თოფი). 9. ახლა ჯარს შეეძლო შორიდან ბრძოლა და მტრის სანგლების დანგრევა ზარბაზნებით. ამას იქით თოფ-ზარბაზნით შეიარაღებული ქვეითა-ჯარი ცხენოსანზედ უფრო საშიში გახდა.

10. ამან ძირიანად შესცვალა სამხედრო ხელოვნება. ციხე-დარბაზების გატეხა გაადვილდა. 11. ცხენოსანი ჯარი, თავის მძიმე აბჯრითა და ჩაჩქან-ჯავშანით ველარ უძლებდა ტყვიასა და ყუმბარას.

12. მოგეხსენებათ, ციხე-დარბაზები თავადებს ეკუთვნოდა და ცხენოსანი ჯარიც თავადებისაგან იყო შემდგარი. მას აქეთ, რაც თოფ-ზარბაზანი გამოიგონეს, თავადებს ომში უპირატესობა ჩამოერთვა. 13. მეფეებს ზარბაზანი და ქვეითა-ჯარი ბლომად ჰყვანდათ, ამიტომ თავიანთ სამეფოებში გაბატონდნენ და ერომანეთს ომი დაუწყეს.

1. რა მოხდა მე-XV საუკუნის დამლევს?—2. როდის იცნეს ევროპელებმა თოფის წამალი?—3. იმათზე ადრე ვინ იცოდა?—4. რაში გამოიყენეს ევროპელებმა თოფის წამალი?—5. რა ნაკლულევანება ჰქონდა პირველს ზარბაზნებს?—6. რა ნაკლულევანება ჰქონდა ზამბულაკს?—7. როგორ გააუკეთესეს ზარბაზანი?—8. ზამბულაკი როგორღა?—9. რა წარმოსდგა მაგისაგან?—10. რა შედეგი ჰქონდა თოფ-ზარბაზნის გამოგონებას ციხე-დარბაზებისათვის?—11. ცხენოსანი ჯარისათვის?—12. თავადებისათვის?—13. მეფეებისათვის?

99. კომპასი.—1. კომპასი ფოლადის ისარია დამაგნიტებული, რომელიც ყოველთვის ჩრდილოეთისაკენ მიიქცევა ხოლმე. 2. ევროპელებმა მე-XIV საუკუნეში იცნეს კომპასი და გამოგონებამ ძირიანად შესცვალა ნაოსნობა.

3. სანამ კომპასი არა ჰქონდათ, ნაოსნებს ვერ გაებედნათ ზღვის პირს გასცილებოდნენ. 4. კომპასით კი შეიძლეს შუა ზღვაში გასვლა და გზის დაკარგვის შიში აღარა ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, რადგან კომპასი ყოველთვის უჩვენებდა ჩრდილოეთს. 5. ესპანელებმა და პორტუგალელებმა კომპასის შემწეობით აღმოაჩინეს ახალი ქვეყნები.

100. აფრიკის და ინდოეთის აღმოჩენა. — 6. მე-XV საუკუ-
ნეში პორტუგალელები მიჰყვნენ აფრიკის დასავლეთ ნაპირებს
და თანდათან აღმოაჩინეს მადეირისა და კანარის კუნძულები
და გაბონის ნაპირი. 7. 1484 წელს ერთმა პორტუგალელმა
ნაოსანმა მიაწია კარგი იმედის კონცხს.

8. ამის შემდეგ ვასკო დე გამა წავიდა ოთხის ხომალ-
დით პორტუგალიიდან, შემოუხვია კარგი იმედის კონცხს,
აღმოაჩინა აფრიკის აღმოსავლეთი ნაპირები და მივიდა ინდო-
ეთს (1498 წ.). 9. აქ პორტუგალელებმა დააარსეს კოლო-
ნიები და გამართეს აღებ-მიცემა.

401. ამერიკის აღმოჩენა.—10. ერთი იტალიელი, ქრის-
ტოფორე კოლუმბი, იმ აზრისა იყო, რომ დედა-მიწა რგვა-
ლია და თუ კაცმა სულ დასავლეთისკენ იარა, ინდოეთს მი-
აწევსო. 11. კოლუმბმა ძლივს დაიყოლია ესპანიის მეფე სამი
გლახა ხომალდი მოეცა. 12. კოლუმბი გაემართა ამ ხომალდე-
ბით ატლანტის ოკეანეს და ორი თვის მგზავრობის შემდეგ,
11 ოქტომბერს 1492 წ., მიადგა ლუკაის არქიპელაგის კუნ-
ძულს. 13. ასე აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა.

14. 1520 წელს ერთმა სხვა ესპანელმა ნაოსანმა მაგე-
ლანმა გაიარა ატლანტის ოკეანე, მთვლო ამერიკა სამხრეთის
მხრით, შევიდა წყნარს ოკეანეში და აღმოაჩინა აქ ოკეანიის
კუნძულები.

15. მაგელანის ხომალდი დაბრუნდა ესპანიას სამი წლის
მგზავრობის შემდეგ. ეს იყო პირველი მგზავრობა დედამიწის
გარშემო.

1. რა არის კომპასი?—2. რამდენი ხანია რაც ევროპელებმა გამო-
იგონეს კომპასი?—3. სანამ კომპასი არა ჰქონდათ, რას შვრებოდნენ ნა-
ოსნები?—4. კომპასით კი რა შეიძლეს ნაოსნებმა?—5. ვინა და რისთვის
მოიხმარა კომპასი?—6. რა ჰქნეს პორტუგალელებმა მე-XV საუკუნეში?
—7. სადამდის მივიდნენ 1484 წელს?—8. რა ჰქნა ვასკო დე გამამ?—
9. რა დააარსეს პორტუგალელებმა?—10. რა აზრისა იყო ქრისტოფორე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კოლუმბი?—11. რა ჰქნა ესპანიის მეფემ?—12. რა ჰქნა კოლუმბ[illegible]
13. რა აღმოაჩინა?—14. რა ჰქნა მაგელანმა და როდის?—15. როდის
დაბრუნდა ესპანიაში?

102. **დაბრეობა მექსიკისა და პერუსი.**—1. ამერიკაში სცხოვრებდა წითელ-კანიანი ნადირი ხალხი. 2. აქ იყო ორი დიდი სამეფო: ერთი ჩრდილო ამერიკაში, მექსიკა, და ერთიც სამხრეთ ამერიკაში, პერუ.

3. მექსიკასა და პერუში უხვი მადნები იყო ოქროსი და ვერცხლისა, და იქაურ მეფეებს უთვალავი საუნჯე მოეხვეჭათ. 4. ესპანელებმა შეიტყეს ესა და გადასწყვიტეს, წასულიყვნენ და წაერთმიათ ის სიმდიდრე.

5. 1519 წელს ესპანელი ფერნანდო კორტეზ მივიდა ხომალდებით მექსიკას, თან ჰყვანდა 700 სალდათი, 18 ცხენი და 10 ზარბაზანი. 6. მექსიკელებს თავის დღეში არ ენახათ არც ევროპელები, არც ცხენები და არც თოფ-ზარბაზანი. ეგონათ ეს თეთრ-კანიანი კაცები მზე-ღმერთის შვილები არიანო, დიდის პატივით მიეგებნენ და შემოუშვეს მექსიკაში.

7. ესპანელებმა იხელთეს ასეთი შემთხვევა და წაართვეს მეფეს საუნჯე; მექსიკელები აშფოთდნენ და ასიათასზე მეტი მეომარი მოადგა კორტეზს, მაგრამ ესპანელებმა მაინც სძლიეს მექსიკელებს. 8. მეფე დასწვეს და მექსიკა ესპანიის კოლონიად გახადეს (1521 წ.).

9. ერთი სხვა ბრბო ესპანელებისა პიზაროს მოთავეობით შევიდა პერუში და შეიპყრა მეფე (1529 წ.). 10. მეფეს თავის გამოსასყიდლად ერთი ოქროთი ოთახი სავსე გამოართვეს და მერე დაახრჩეს. 11. პერუს სამეფო ესპანელებმა დაიჭირეს.

103. **ევროპელების სამფლობელო.**—12. იმ ხანებში პორტუგალელებმა და ესპანელებმა ხელთ იგდეს ვეება ქვეყნები ევროპის გარეთ.

13. პორტუგალელები ბატონობდენ აღმოსავლეთს მხარეს: აფრიკასა, აზიასა და ოკეანიაში. 14. ამათ ეჭირათ სამხრეთ აფრიკის, ინდოეთის და ჩინეთის ნაპირებზე ნავთსადგურები და აქედან გაჰქონდათ აღმოსავლეთის საქონელი: ბამბა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრეშუმი, სპილოს ეშვი და სანელებელი. 15. ამას გარდა პორტუგალელებმა დაიპყრეს მოლუკის კუნძულები და ბრაზილია.

16. ესპანელები ბატონობდნენ დასავლეთს მხარეს, ამერიკაში. 17. იმათ ხელში იყო ანტილის კუნძულები, მექსიკა, მთელი სამხრეთი ამერიკა, ბრაზილიას გარდა, და ფილიპინის კუნძულები ოკეანიაში.

1. ვინა სცხოვრებდა ამერიკაში?—2. რომელი დიდი სამეფოები იყო იქ?—3. რა იყო მათი სიმდიდრე?—4. რა გადასწყვიტეს ესპანელებმა?—5. ვინ იყო კორტეზი?—6. მექსიკელებს ესპანელები ვინ ეგონათ? —7. რა ჰქონეს ესპანელებმა?—8. რა უყვეს მექსიკის მეფეს და მის სამეფოს?—9. რა მოხდა პერუში?—10. რა უყვეს მეფეს?—11. პერუს რაღა უყვეს?—12. რა იგდეს ხელთ პორტუგალელებმა და ესპანელებმა ამ დროს?—13. სად ბატონობდნენ პორტუგალელები?—14. სად ჰქონდათ ნავთსადგურები?—15. რა ქვეყნები ეპყრათ?—16. სად ბატონობდნენ ესპანელები?—17. რა ქვეყნები ეპყრათ?

104. ზანგების ყიდვა.—1. ესპანელები, რომელნიც ამერიკას მიდიოდნენ, თითქმის სულ ყველანი გულქვა ბედის-მეცადენი *) იყვნენ. 2. უნდოდათ ეშოვნათ ფული და ამისათვის ძალად ამუშავებდნენ მადნებში იქაურ მცხოვრებლებს, სჩაგრავდნენ და ნადირობდნენ მათზედ ძაღლებით. ადგილობრივი მცხოვრებნი ვერ იტანდნენ ასეთს ტანჯვას და იხოცებოდნენ.

3. მაშინ დაიწყეს ზანგების ყიდვა აფრიკაში, მოჰყვანდათ ამერიკაში და ამუშავებდნენ როგორც მონებს. 4. ამ უწყალო ვაჭრობას უწოდეს ზანგების ყიდვა. 5. ესპანელებმა მიჰყვეს ხელი ამ ხელობას 1517 წლიდან. სხვა ხალხებმაც, პორტუგალელებმა, ფრანგებმა და ინგლისელებმა, გაიჩინეს ზანგი მონები.

105. აღმოჩენების შედეგი.—6. მე-XV საუკუნემდე ევროპელებმა ქვეყნის მხოლოდ ერთი კუთხე იცოდნენ. დიდი აღმოჩენების შემდეგ კი მთელი დედამიწის ზურგი იცნეს

7. აზიის და ამერიკის ნაწარმოები ბამბა, პილპილი, შაქარი, აბრეშუმი ძალიან ძნელი საშოვნელი იყო და მაშასა-

*) ბედის მეცადე—კაცი, რომელიც სცდის ბედსა, ერთბაშად და უშრომელად გამდიდრება სურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამე ძალიან ძვირიცა. 8. ახლა კი ბლომად შემოდის ევროპაში. 9. ევროპელები ევროპაში იყვნენ ჩაკეტილნი, ახლა კი მთელს ამერიკას და ოკეანიას მოეფინნენ.

1. როგორი ესპანელები მიდიოდნენ ამერიკაში?—2. რას უშვრებოდნენ ადგილობრივს მცხოვრებლებს?—3. რას უშვრებოდნენ აფრიკის ზანგებს?—4. რა ერქვა მაგ ვაჭრობას?—5. რომელ ხალხსა ჰყვანდა ზანგი მონები?—6. იცოდნენ ევროპელებმა მთელი ქვეყანა მე-XV საუკუნის წინ?—7. რომელი საქონელი იყო ძალიან ძვირი?—8. ახლაც ძალიან ძვირია?—9. რომელ ქვეყნებს მოეფინნენ ევროპელები მე-XV საუკუნის აღმოჩენების შემდეგ?

—

შინაარსი (ზეპირად სათქმელი).

I, მე-XV საუკუნის ბოლოში მომხდარის აღმოჩენებითა და გამოგონებით იწყება ახალი დროების ხანა.

II. თოფის-წამალმა, რომელიც ცნობილი იყო ევროპაში მე-XIV საუკუნიდან, გამოიწვია ზარბაზნებისა, ზამბულაკების და მერე კაჟიანი თოფების კეთება და ძირიანად შესცვალა სამხედრო ხელოვნება.

III. კომპასის წემწყობით შესაძლებელი გახდა დიდის ხნით მგზავრობა შუა ზღვაში.

IV. პორტუგალელებმა აღმოაჩინეს მთელი აფრიკა, გასცილდნენ კარგი „იმედის“ კონცხს და მიაწიეს ინდოეთს (1498 წ.).

V. ესპანელებმა აღმოაჩინეს ამერიკა (1492 წ.) და პირველად შემოუარეს დედა-მიწას (1520 წ.).

VI. მექსიკა, ფერნანდო კორტეზის დაპყრობილი 1519 წ. და პერუ, პიზარროს დაპყრობილი 1529 წ., გახდა ესპანეთის კოლონიად.

VII. მაშინ პორტუგალელები გაბატონდნენ აღმოსავლეთის მხარეს, აფრიკაში, ინდოეთს, მოლუკის კუნძულებზედ და ბრაზილიაში. ესპანელები კი გაბატონდნენ დასავლეთის მხარეს, ამერიკაში.

VIII. თავიანთ კოლონიების შესამუშავებლად ესპანელებმა შემოიღეს ზანგების ყიდვა (1517 წ.); სხვა ხალხებმაც გაიჩინეს ზანგი მონები.

IX. ახალი ქვეყნების აღმოჩენით ევროპელებმა იცნეს მთელი დედა-მიწა და ხელში ჩაიგდეს.

ალ. სარაჯიშვილი.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ი ს ა რ ი

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს;

ერთის წლით:			ნახევარის წლით:		
თფილისში.	6 მ.	50 კ.	თფილისში.	4 მ.	— კ.
თფილისის გარედ	7 „	— „	თფილისის გარედ	4 „	50 „
საზღვარ-გარედ	12 „	— „	საზღვარ-გარედ	6 „	— „

ერთის თვით:

თფილისში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ 1 მ. 50 კ.

ცალკე ნოსხერი ყველგან ერთი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1. „ისრის" რედაქციაში (ელისაბედის ქ. № 1. მ-ლოვის სახლი). 2. „ქ. შ. წ.-ე. გ. საზოგ.„ წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.) **ქუთაისში**: ისიდორე კვიცარიძესთან (კოლხიდის ამხანაგობაში). **ბათუმში** — ხომერიკთან, ჭოროხში. **ყვირილაში**—პლ. ლეკავასთან. **თმლავში**—ივ. პაატაშვილთან. **ჭიათურაში** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის ბანკში. **ბაქოში**: გიორგი ჩხეიძ სთან (ჭინჭარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ИСАРИ".

Продолжается подписка на 1907 годъ

На большую общественно-политическ. и литературную газету.

„ЗАКАВКАЗЬЕ"

Второй годъ изданія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: до конца года 7 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно 1 р. Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ —3 рубля, къ 1-му мая—3 руб. и къ 1-му августа—2 р. За границу—вдвое: Плата за обьявленія: 1) отъ тифлисскихъ объявителей впереди текста за строку петита 15 коп., послѣ текста—8 коп. 2) отъ иногородныхъ объявителей впереди текста строка петита—30 коп., позади текста—15 к.

Тифлисъ, Головнинскій пр. д. № 37.

Телефонъ редакціи и конторы № 58.

Редакторъ-издатель **П. А. ГОТУА.**

Продолжается подписка на 1907 г.

на ежемѣсячный иллюстрированный журналъ для семьи и школы

„ЮНАЯ РОССІЯ“

(„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“)

Тридцать девятый годъ изданія.

Въ годъ 4 р. 50 к. безъ пересылки. 5 р. съ пересылкой.

Журналъ **„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“** перемѣнилъ съ 1906 г. свое названіе и будетъ впредь издаваться подъ названіемъ—**ЮНАЯ РОССІЯ**. Все остальное въ журналѣ безъ всякой перемѣны —одно только названіе новое.

журналы **„ЮНАЯ РОССІЯ“** („Дѣтское Чтеніе“) и **„Педагогическій Листокъ“**, служа вѣковѣчнымъ задачамъ воспитанія и обученія, всегда откликались—въ мѣру возможности—и на текущія злобы дня и выдающіяся событія въ жизни русской и всемірной.

Въ настоящее же время **„ЮНАЯ РОССІЯ“** („Дѣтское Чтеніе“) и **„Педагогическій Листокъ“** съ особенною настойчивостью будутъ развивать въ своихъ читателяхъ тѣ разумныя и добрыя мысли и чувства, которыя наиболѣе способны воспитать въ человѣкѣ—свободнаго гражданина—дѣятеля на благо родной страны.

Въ 1907 г. журналъ „ЮНАЯ РОССІЯ“ („Дѣтское Чтеніе“) дастъ всѣмъ подписчикамъ 12 КНИЖЕКЪ журнала, въ составъ которыхъ входятъ: а) повѣсти, разсказы и сказки; б) стихотворенія в) историческіе очерки и біографіи; г) популярно-научныя статьи, д) снимки съ портретовъ замѣчательныхъ людей и съ картинъ и проч.

БЕЗПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ: I. Народные поэты—Кольцовъ, Никитинъ и Шевченко. Сборникъ стихотвореній для семьи и школы.

II. Старшіе братья въ семьѣ народовъ. Очерки современной культуры передовыхъ странъ, Я. А. Берлина. 1. Городъ-великанъ и его чудеса. 2. Успѣхи знанія. 3. Царица міра—машина (промышленный строй). 4. Среди тружениковъ (соціальный вопросъ). 5. Государственная жизнь. 6. Чаянія лучшаго будущаго.

(Въ текстѣ журнала этимъ очеркамъ будутъ предпосланы двѣ статьи). **„Изъ общественнаго и государственнаго строя современныхъ передовыхъ странъ“**: 1. Исторія труда (въ связи съ исторіей собственности); 2. Исторія политической власти.

III. Серія разсказовъ Е. Н. Опочинина: 1. Праздничное богомолье воеводы (Рождественская легенда). 2. Бѣднячекъ. 3. Въ прощеные дни. 4. Непутевый.

Подписная цѣна на „Юная Росся“.

Безъ доставки, на годъ 4 р. 50 к.
Съ доставк. и перес., на годъ 5 р.

„Юная Россія“ съ „Педагогическимъ Листкомъ“ (8 кн.).

Безъ доставки, на годъ . . . 5 р.
Съ доставк. и перес., на годъ 6 р.

Допускается разсрочка

Подписка принимается въ редакціи Москва. Б. Молчановка, д. № 24. Д. И. Тихомирова, и у книгопродавцевъ. Книгопродавцамъ уступка 5%. Оставшіеся комплекты журнала „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ за прежніе годы 1897—1904 г.г. по 4 р. безъ пересылки.

Издательница **Е. Н. Тихомирова** Редакторъ **Э. И. Тихомировъ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა